ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სალომე პატარიძე

საქართველოში ბიზნეს სექტორის განვითარების თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური ანალიზი

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი : მარინა მუჩიაშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ბიზნეს სექტორის გაანვითარება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დღეს ბიზნესი წარმოადგენს მთავარ მექანიზმს ეკონომიკური და სოციალური გარემოს გაუმჯობესებისთვის. ბიზნესი განსაკუთრებულ როლს ასრულებს თითქმის ყველა სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, ბაზარზე მოქმედი ორგანიზაციების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვაში. შესაბამისად, დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება წარმოების, ფინანსური ინსტიტუტებისა და საწარმოო-სოციალური ინფრასტრუქტურის გარეშე.

ნაშრომში განხილულია საქართველოში ბიზნეს სექტორის განვითარების ძირითადი ტენდენციები, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება ჩატარებული კვლევის შედეგებს. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კი გამოვლენილია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად იწვევს ბიზნესის ცალკეული სექტორის პროგრესის შენელებას.

ნაშრომში სტატისტიკურ მეთოდების გამოყენებით მიღებული დინამიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით შეფასებულია საქართველოს ბიზნეს გარემოს ზემოქმედება ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე. ასევე, გამოყოფილია ბიზნესის მოწინავე დარგები საქართველოში, გამოვლენილია ბოლო წლებში ამ სფეროში მომხდარი შესაბამისი ცვლილების მიზეზები.

Salome Pataridze

Statistical analysis of current business trends in Georgia

Annotation

Development of Business Sector is crucial for every country. Today business is the main mechanism for improving economic and social environment. It has the special role in formation of GDP of the country, creating jobs, providing service for the market-oriented organizations and in introducing new technologies and innovations. Though, in today's world economic development of the country is impossible without manufacturing, financial institutions and industrial and social infrastructure.

In this paper work, it's overviewed the main trends of business sector development of the country, which are based on the results of the survey. Due to the results, we presented the main factors that directly or indirectly lead to slodown the progress of different business sectors.

Also, based on the dynamic analysis by using statistical methods obtained, one side, the impact of the Georgian business environment on the changes of economic processes development, on the other hand, revealed the leading sectors and identified the reasons for the relevant change.

შინაარსი

შესავალი 4

თავი I : ბიზნეს სექტორის სტატისტიკური შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძვლები 6

1.1 საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 6

1.2 საქართველოში ბიზნეს სექტორის განვითარების შეფასებები (მსოფლიო რეიტინგების მიხედვით) 19

1.3 ბიზნეს სექტორის სტატისტიკური ანალიზის საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიმოხილვა 40

თავი II : ბიზნეს სექტორის განვითარების ტენდენციების სტატისტიკური ანალიზი საქართველოში 43

2.1 საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის მაჩვენებელთა სისტემა 43

2.2 საწარმოთა სტატისტიკურ მაჩვენებელთა დინამიკური ანალიზი 45

დასკვნა 79

გამოყენებული ლიტერატურა 80

დანართი 1 82

შესავალი

თემის აქტუალურობა. ქვეყნის განვითარებული და სრულყოფილი ბიზნესის გარემო ეკონომიკის ზრდისა და კერძო სექტორის მაღალი ტემპებით განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორად განიხილება.

წარმატებული ბიზნესგარემოს ფორმირებისათვის აუცილებლია ძლიერი ინსტიტუტების, სტაბილური საკანონმდებლო რეგულირებისა და ბიზნესის ოპერირების ძლიერი კულტურის არსებობა. საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი ექპერტებისა და ქართველი მეწარამეების აზრით უკანასკნელ ორი აღწლეულის განმავლობაში ბიზნესგარემო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაც ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ ბიზნესის კეთება საქართველოში შედარებით გამარტივებულია. აღნიშნული აისახა იმასი, რომ ბიზნესის კეთების ინდექსის მიხედვით ქვეყანა მსოფლიოში მოწინავე პოზიციაზე იმყოფება. ასევე, დაბალია გადასახადების განაკვეთებიც. თუმცა, ბიზნესგარემოს შეფასებისას აუცილებლად მხედველობაში მიიღება ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნევლყოფის საკითხიც.[1]

კვლევის მიზანი და ამოცანები. მოცემული კვლევის მიზანია საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს შეფასებების საფუძველზე ეკონომიკური სექტორებში მიმდინარე დინამიკური პროცესების კომპლექსური აღწერა, მოწინავე დარგების გამოყოფა და შესაბამისი ცვლილების მიზეზების დადგენა.

საკიხის შესწავლიდან გაირკვა, რომ საქართველოში მომავალში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას საჭიროა არსებული ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება და უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება. ასევე აუცილებლობას წარმოადგენს. ასევე, აუცილებელია მცირე და საშუალო ზომის

[1] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიზნესგარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობები და გამოწვევები, 2017

ექსპორტიორი საწარმოებისთვის მიზნობრივი დახმარების აღმოჩენა და ხარისხის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

კვლევის საგანი და ობიექტი. კველევის საგანს წარმოადგენს ბიზნეს სექტორის განვითარების ცვლილებების მართვის პროცესის ანალიზი და ამ მიზნით გამოყენებული მიდგომებისა და მეთოდების განხილვა და შეფასება .

კვლევის მდგომარეობა და მეცნიერული სიახლე. ბიზნეს სექტორის განვითარების პროცესის სტატისტიკური ანალიზი.

მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები. საკვლევ თემაზე არსებული მონოგრაფიებისა და ეკონომიკური პროილის ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიების შესწავლა.

თავი I : ბიზნეს სექტორის სტატისტიკური შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1 საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია

დღეს, სამეწარმეო ურთიერთობის ქსელში მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაში, სოციალური უთანაბრობის შერბილებასა და დასაქმების ზრდაში. მცირე საწარმოები ქმედით როლს თამაშობენ სიღარიბის დაძლევაში, რომლებიც მოქნილად და სწრაფად რეაგირებენ ბაზრის ცვლილებებზე, ადვილად ითვისებენ ახალ პროდუქციას და ძირითადად ორიენტირებული არიან ადგილობრივ ბაზრებზე. მცირე და საშუალო საწარმოების სტაბილური და კომბინირებული ურთიერთობები და მსხვილ და გლობალურ საწარმოებთან მათი კონკურენტუნარიანობა არის საწარმოთა სიცოცხლისუნარიანობისა წინაპირობა, რომელიც ღირებულების ზრდის სახელითაა ცნობილი.[2]

სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას,და ასევე განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.[3]

---

[2] თოქმაზიშვილი მ., მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა (ღირებულებათა ზრდის განვითარება), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

[3] Union, Financial assistance of the Europe, ევროპის მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასება. 2016

განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში), მცირე და საშუალო საწარმოებს მოქმედ საწარმოებში დიდი წილი უკავია, ქმნის სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს და ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ. ისინი საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის 2/3-ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში საკმაოდ დაბალია - 20%-ზე ნაკლები.

ბოლო წლებში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, მათ შორის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა გზებით. ამ რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები ევროკავშირიდან. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება.[4]

მცირე და საშუალო მეწარმეობის მძლავრი განვითარების სტრატეგია შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) აქტიური თანამშრომლობითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ-

[4] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016

ის) მხარდაჭერით. რეფორმები, რომელთა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა ბიზნესის დაწყება და წარმოება არის :

საგადასახადო პოლიტიკა: გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები მნიშვნელოვნად შემცირდა, აგრეთვე გაუმჯობესდა საგადასახადო ადმინისტრირება. საქართველოს გააჩნია ევროპაში ყველაზე ლიბერალური და მოქნილი საგადასახადო სისტემა.

საბაჟო პოლიტიკა: საბაჟო სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურები და საგრძნობლად შემცირდა შესაბამისი ხარჯები. იმპორტის ტარიფები გაუქმდა პროდუქტების დაახლოებით 85%-ზე და ამჟამად მოქმედებს მხოლოდ 3 სატარიფო განაკვეთი (12%, 5% და 0%), ნაცვლად ადრე მოქმედი 16-სა. იმპორტის ტარიფები მოქმედებს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და რამდენიმე დასახელების ინდუსტრიულ საქონელზე. საქართველოში არ არსებობს იმპორტის და ექსპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები (ე.წ. კვოტები). DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდგომ, 2014 წლის სექტემბრიდან, ვაჭრობა საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ხორციელდება ტარიფების გარეშე.

ლიცენზიები და ნებართვები: ლიცენზიები და ნებართვები გამოიყენება მხოლოდ მაღალრისკიანი პროდუქციის წარმოებისას და მომსახურების გაწევისას, ასევე, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და ზოგიერთი სპეციფიკური საქმიანობისთვისაა. ამასთან, მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები, შემოღებულ სხვადასხვა სახის პრინციპები. ლიცენზიების და ნებართვების მოსაკრებლების ოდენობა განსხვავებულია საქმიანობის სახეების მიხედვით.

სახელმწიფო მმართველობა: სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობის პროცედურები, მათ შორის, ბიზნესთან დაკავშირებული მომსახურება ხორციელდება „ერთი სარკმლის პრინციპით“.

მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობით ამოქმედდა დაბეგვრის გამარტივებული რეჟიმი, კერძოდ, მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1%-ით. მიკრო ბიზნესი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან და მიმდინარე გადასახდელების გადახდისგან. მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის შემოღების და შესაბამისი საგადასახადო შეღავათების დაწესების მთავარი მიზანია, ერთი მხრივ, ამგვარი ბიზნესების რეგისტრაციის ხელშეწყობა და მეორე მხრივ საგადასახადო ტვირთის შემცირება.

გარდა ამისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, საწარმო, რომლის ბრუნვა წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს, გათავისუფლებულია დღგ-სგან. დღგ-სგან გათავისუფლებულია სოფლის მეურენობის პირველადი პროდუქტების მიწოდებაც. ასევე, ფიქსირებული გადასახადის განაკვეთით იბეგრება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული რიგი საქმიანობები.[5]

მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის მხარდაჭერისთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში, 2014 წლის თებერვალში შეიქმნა ორი უწყება: მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების მაკოორდინირებელი სტრუქტურა საქართველოში. სააგენტოს ძირითადი მიზნებია: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრების მხარდაჭერა, ასევე საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა და ა.შ. სააგენტოს მთავარი ფუნქციებია: ბიზნესის მხარდაჭერა DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში, საექსპორტო და ადგილობრივ ბაზრებზე არსებული მოთხოვნისა და ვალდებულებების შესახებ

[5] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 95(1)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=147

ინფორმაციის შეგროვება და მეწარმეთათვის მიწოდება; მეწარმეთათვის დახმარების გაწევა ბიზნესის დაგეგმვისა და განვითარების კუთხით, მეწარმეთა დახმარება დონორებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობაში, საერთაშორისო ბაზრებზე მარკეტინგის პროცესში დახმარება და ა.შ.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო წარმოადგენს ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერ ძირითად უწყებას. სააგენტოს მთავარი მიზნებია: ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის და მისი განვითარების პროცესის კოორდინაცია; ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითარების სტიმულირება, მათი კომერციალიზაციის და გამოყენების ხელშეწყობა; ინოვაციური დამწყები კომპანიების ფორმირების და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა; სამეცნიერო და ბიზნეს წრეებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა; მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარების და მისი გამოყენების ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყობა და ა.შ. სააგენტოს ფუნქციებს შორისაა: ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა; თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ხელშეწყობა; ინოვაციებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება; ცოდნაზე დაფუძნებული ინიციატივების, ინოვაციური პროექტებისა და პროდუქტების მხარდაჭერა; საწარმოებისთვის კვლევისა და განვითარების მასტიმულირებელი პროგრამების განხორციელება; ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაფარვა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით; საყოველთაო კომპიუტერიზაციის პროცესის წარმართვა და ა.შ.[6]

საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერის რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის:

[6] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016

- **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა**: დაფუძნებულია დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყების სახით. მისი მთავარი ფუნქციებია ბიზნესებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ბიზნეს უნარების და ბიზნესის დაგეგმვის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ექსპორტის ხელშეწყობა, საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და სხვა. პალატის წევრობა ნებაყოფლობითია.
- **საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია:** წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს 1 000-ზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს. ასოციაცია უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურების გაწევას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის და ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას სამეწარმეო ცოდნის, სამეწარმეო უნარების განვითარებისთვის. ასოციაციის წევრობა ფასიანია და მერყეობს 600 აშშ დოლარიდან 2 000 აშშ დოლარამდე საწარმოს ზომიდან გამომდინარე.

- **საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია:** წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერესების დაცვა. ის აქტიურად თანამშრომლობს ბიზნესთან სამეწარმეო უნარების განვითარების, სხვადასხვა მიმართულებით კონსულტაციების გაწევის მიმართულებით და სხვა. ბიზნესასოციაციებს ესაჭიროებათ შესაძლებლობების გაძლიერება ევროკავშირის პოლიტიკასთან და DCFTA-ის მოთხოვნებთან მიმართებით, რათა ხელი შეუწყონ მცირე და საშუალო მეწარმეობას ამ მოთხოვნებთან ადაპტაციაში. ამასთან, მნიშვნელოვანია როგორც ასოციაციების მიერ მეწარმეებთან ურთიერთობის გაღრმავება, ასევე, თავად ამ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის

გაღრმავება, რათა მოხდეს მცირე და საშუალო მეწარმეობის ორიენტირებული სერვისების მაქსიმალურად გაუმჯობესება.[7]

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების, ახალი კონკურენტული ინდუსტრიების შექმნის და ასევე, არსებულის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაიწყო სახელმწიფო პროგრამა **„აწარმოე საქართველოში“.** პროგრამა ითვალისწინებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობას და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. პროგრამას ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-ები: მეწარმეობის განვითარების სააგენტო, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

2015 წლიდან დაიწყო „აწარმოე საქართველოს“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულება, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულება ითვალისწინებს ორ კომპონენტს: ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას. ტექნიკური დახმარების ფარგლებში, ბენეფიციარები მიიღებენ ბიზნეს და ინდივიდუალურ საკონსულტაციო მომსახურებას და გაივლიან ტრენინგებს.[8]

საქართველოში სამეწარმეო პოლიტიკის ეფექტური განვითარებისთვის ძირითადი პრიორიტეტებია:

---

[7] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016

[8] აწარმოე საქართველოს სტრატეგიები,http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka 2016წ

- მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიღება 2016-2020 წლებისთვის, რომელიც იქნება საქართველოს მთავარი სტრატეგიული დოკუმენტი მცირე და საშუალო მეწარმეობის შესახებ პოლიტიკის ფორმირების და მხარდაჭერისათვის;
- მცირე და საშუალო მეწარმეთათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად
- ინოვაციური მეწარმეობის წასახალისებლად კონკრეტული მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება;
- ახალი ინსტრუმენტების შემუშავება ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის **მიზანი**: მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტრატეგიული მიმართულებების და შესაბამისი პრიორიტეტული ღონისძიებების განსაზღვრა მოხდა არსებული მდგომარეობის და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზის და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირების საფუძველზე.

თუ ვისაუბრებთ სტრატეგიულ მიმართულებებზეც მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებისთვის და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:[9]

[9] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016

სტრატეგიული მიმართულება 1: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება

საწარმოების მიმართ პოლიტიკის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია ამ სფეროს როგორც შეძლებისდაგვარად ფართო სტატისტიკის, ასევე, მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტების არსებობა, რომელიც მორგებულია და ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს და ამასთან, შესაბამისობაშია სტატისტიკის წარმოების ევროპულ კრიტერიუმებთან.ბოლო წლების მანძილზე საქსტატმა, ბიზნესის სტატისტიკის შეგროვების მიზნით, მნიშვნელოვნად გააფართოვა როგორც საწარმოთა მოცვა, ასევე, მონაცემთა რაოდენობა, მაგრამ არსებობს ინფორმაციები (მაგალითად, ექსპორტ/იმპორტის ციფრები საწარმოთა ზომის მიხედვით), რომლებიც ამ ეტაპზე არ გროვდება და რომელიც აუცილებელია ბიზნესის ტენდენციების, ასევე, სირთულეების იდენტიფიცირების და განვითარების მიზნობრივი ღონისძიებების შემუშავებისთვის. ამჟამად, საქართველოში არ არსებობს რეგულირების გავლენის შეფასების ჩამოყალიბებული სისტემა. ხორციელდება მხოლოდ ახალი რეგულაციების შესაძლო ზეგავლენის (როგორც სამეწარმეო გარემოზე, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტებზე) მარტივი შეფასება. შესაბამისად, არ არსებობს სიღრმისეული ანალიზი, თუ რა გავლენა შესაძლოა მოახდინოს ახალმა რეგულირებამ ბიზნეს-სექტორზე, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებაზე. მცირე და საშუალო მეწარმეობის კონკურენტუნარიანობის ზრდის და განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით, საჭიროა როგორც ახალი საკანონმდებლო წინადადებების, ასევე, არსებული კანონმდებლობის შეფასება, ბიზნესზე რეგულირების ტვირთის და რეგულირებასთან შესაბამისობის ხარჯების იდენტიფიცირებისთვის. [10]

გარდა ამისა, მცირე და საშუალო მეწარმეებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა კაპიტალის ზრდის ინსტრუმენტებსა და ალტერნატიული დაფინანსების წყაროებზე (მათ შორის, კერძო და ვენჩურული კაპიტალის ფონდებზე). შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც დაფინანსების ალტერნატიული წყაროების განვითარების ხელშეწყობა, ასევე, მეწარმეთა

[10] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016

ცნობიერების და კაპიტალის ზრდის და ალტერნატიული წყაროებიდან ფინანსების მოზიდვასთან დაკავშირებით.

სტრატეგიული მიმართულება 2: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოებს ამ ეტაპზე არ აქვთ ვალდებულება ანგარიშგება აწარმოონ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ამავე დროს, ასოცირების შეთანხმებით, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება ქვეყნის კანონმდებლობა დააახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას ბუღალტრული აღრიცხვის სფეროშიც. ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაზრდის კომპანიების ანგარიშგების გამჭვირვალობას და ასევე, მათ შესაძლებლობებს, უფრო მარტივად შეიძინონ ბიზნეს-პარტნიორები და მოიზიდონ დამატებითი ფინანსური რესურსი. მცირე და საშუალო მეწარმეთა შესაძლებლობები, აწარმოონ ფინანსური ანგარიშგება IFRS for SMEs-ის მიხედვით შეზღუდულია, რაც აფერხებს დამატებითი კაპიტალის მოზიდვას და შესაბამისად - კომპანიების ზრდას და განვითარებას.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“) მეწარმეებს არ აქვთ ხელმისაწვდომობა გრანტებზე, ვინაიდან კომპანიები (მათ შორის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ინდ. მეწარმე და ა.შ.) არ შეიძლება იყვნენ გრანტის ბენეფიციარები, რაც ქმნის დაბრკოლებას ალტერნატიული დაფინანსების ხელმისაწვდომობის კუთხით. აღნიშნული შეზღუდვა ასევე პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს ან/და დონორი ორგანიზაციების საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის თვალსაზრისით და ზღუდავს კომპანიებში ინოვაციების და კვლევისა და განვითარების შესაძლებლობებს.[11]

სტრატეგიული მიმართულება 3: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

[11] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016

ადამიანური კაპიტალის განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია ზოგადად, მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის და მოიცავს პროფესიული განათლების და გადამზადების სისტემის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული და კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის ფორმირებას.მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს პროფესიული განათლებისა და გადამზადების რეფორმა, სამუშაო ძალის შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ჯერ კიდევ გამოწვევას წარმოადგენს.[12]

სამეწარმეო განათლება, როგორც ერთ-ერთი ძირითადი კომპეტენციის დანერგვა ყველა ეტაპზე, უმნიშვნელოვანესია როგორც კერძო სექტორის განვითარებისთვის, ასევე თვითდასაქმებისთვის. ამ ეტაპზე, საქართველოს განათლების სისტემაში სრულად არ არის დანერგილი სამეწარმეო განათლება საუკეთესო ევროპული და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად. ასევე არ არის დანერგილი უწყვეტი სამეწარმეო სწავლება, რაც გულისხმობს სამეწარმეო განათლებას განათლების ყველა საფეხურზე. საჭიროება, შემუშავდეს სასწავლო პროგრამები განათლების ყველა დონეზე, რომელიც მოიცავენ სამეწარმეო სწავლების კომპონენტებს.

ზოგადად, მეწარმეობის ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის ასევე მნიშვნელოვანია თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობა და სამეწარმეო უნარების გაუმჯობესება. სამეწარმეო უნარების ნაკლებობა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ხელისშემშლელი ფაქტორია, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია საბჭოთა მემკვიდრეობით. მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ სამეწარმეო უნარები გაუმჯობესებულია, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს განსაკუთრებით მცირე და საშუალო კომპანიებისთვის. ბიზნესის დაგეგმვისა და განვითარების, მარკეტინგის და სხვა იმ უნარების ცოდნის დონე, რაც აუცილებელია წარმატებული საქმიანობისთვის,დაბალია. ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია ქალთა მეწარმეობის

[12] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016

გაძლიერება და ხელშეწყობა. ქალები ნაკლებად არიან ჩართულები სამეწარმეო საქმიანობაში, ვიდრე მამაკაცები, ასე რომ, მნიშვნელოვანია მოხდეს კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება ქალ მეწარმეთა სტიმულირების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ქალების მონაწილეობის ზრდას ეკონომიკურ საქმიანობაში.[13]

სტრატეგიული მიმართულება 4: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია

კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის უმნიშვნელოვანესია ექსპორტის ხელშეწყობა. იმ სარგებლის მაქსიმიზაციისთვის, რომელსაც DCFTA პოტენციურად სთავაზობს მეწარმეებს, მნიშვნელოვანია როგორც მათი ცნობიერების ამაღლება DCFTA-ის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ასევე, ამ მოთხოვნების ადაპტაციაში ხელშეწყობა. საქართველო 2020-ში ხაზგაზმულია მთავრობის განსაკუთრებული როლი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ისეთი პროდუქტისა და მომსახურების წარმოების ხელშეწყობაში, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება როგორც ადგილობრივ, ასევე ევროპულ და საერთაშორისო ბაზრებზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რიგი რეგულაციები ვრცელდება პროდუქტის როგორც ევროკავშირის, ასევე საქართველოს ბაზარზე განთავსებაზეც, რაც კიდევ უფრო ზრდის DCFTA-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კომპანიების შესაძლებლობების გაძლიერების მნიშვნელობას. მცირე და საშუალო კომპანიების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა საქართველოში მოქმედ საერთაშორისო კომპანიებთან კავშირის დამყარებაა. მსხვილი საერთაშორისო კომპანიები, ხშირ შემთხვევაში, პროდუქტისა და მომსახურების იმპორტის ნაცვლად პრიორიტეტს ანიჭებენ პროდუქტისა და მომსახურების შესყიდვას ადგილობრივი კომპანიებისგან. ამჟამად არ არსებობს სტრუქტურირებული მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მცირე და საშუალო კომპანიების დაკავშირებას საქართველოში მოქმედ მსხვილ ინვესტორებთან. მცირე და საშუალო საწარმოთა და

[13] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოთა შორის კავშირების დამყარება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათ გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში ჩაბმას. [14]

ინოვაციების ნაკლებობა, როგორც კერძო სექტორის კონკურენტუანრიანობის ხელისშემშლელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორის ხაზგასმულია საქართველო 2020-ში. ვინაიდან მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური რესურსები შეზღუდულია, მათ არ აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ ინვესტიციები ინოვაციებში, კვლევასა და განვითარებასა და ასევე, ახალ ტექნოლოგიებში. ამასთან, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები არის დაბალი. ასევე მნიშვნელოვანია მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციების განვითარებას და ასევე, გააუმჯობესებს ხელმისაწვდომობას თანამედროვე ტექნოლოგიებზე.

სტრატეგიული მიმართულება 5: ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა

განვითარებული ქვეყნისთვის ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების ხელშეწყობა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კომპანიების კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლებისთვის. კომპანიების, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოებთა მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება არის დაბალი, რისი ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ტექნოლოგიების განვითარების არასაკმარისი დონე და ინოვაციების ნაკლებობაა. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს პროგრამებს, რომლებიც ძირითადად მიმართულია მცირე და საშუალო მეწარმეობის და start-up-ის მხარდაჭერისკენ როგორც ინოვაციების, ასევე R&D-ს განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია სააგენტოს შესაძლებლობების და ინსტიტუციური გაძლიერება, ასევე მოთხოვნაზე ორიენტირებული პროდუქტების და სერვისების შემდგომი განვითარება.

[14] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016

1.2 საქართველოში ბიზნეს სექტორის განვითარების შეფასებები (მსოფლიო რეიტინგების მიხედვით)

ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საერთო დონის გარკვევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს განვითარებულმა ქვეყნებმა შეიმუშავეს ეკონომიკის განვითარების საერთო დონის სტატისტიკური ინდექსები. 1887 წელს გამოქვეყნდა ნეიმან-შპატლერის ე.წ ტოტალური ინდექსი ექვსი სახელმწიფოსათვის. იმავე წელს არმან ჟიულენმა დაამუშავა 43 მაჩვენებლიანი ინდექსი ბელგიისათვის. იტალიელმა ჯოვანი მორტერმა კი შექმნა 30 მავენებლიანი იტალიის სახალხო მეურნეობის საერთო მდგომარეობის ამსახველი ინდექსი.

გლობალური განვითარების საერთო ტენდენციებიდან გამომდინარე აუცილებელი ხდება მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე კანონზომიერების საერთაშორისო მასშტაბით დაკვირვება და მოქმედების სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. ამისთვის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული იქნა ანგარიშთა ერთიანი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყველა ქვეყანა ამუშავებს ეროვნულ სტატისტიკურ მაჩვენებლებს და აქვეყნებს მათ. სწორედ ერთიან მეთოდოლოგიურ სისტემათა საფუძველზე შემუშავებული სტატისტიკური განზომილებები არის საფუძვლი ქვეყანათა განვითარების დონეთა ურთიერთ შედარებებს.

საერთაშორისო ორგანიზაციების ამგვარი საქმიანობა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგანაც ისტორიული განვითარების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, სხვადასხვა ქვეყანა ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფება და ეს მათ მიერ განვლილი ისტორიული დროის კონკრეტული მონაპოვარი გახლავღ. გლობალიზაცია კი ქმნის პირობებს: ის პროცესები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა განვითარებულ ქვეყნებში, სხვა შედარებით ჩამორჩენილი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში უფრო სწრაფად განხორციელდეს. ანალიტიკოსების ზრით, სწორედ ამ მეთოდით შეძლეს განვითარებადმა ქვეყნებმა 30 წელიწადში გაევლოთ ის რთული გზა რასაც განვითარებული ქვეყნები 300 წელი მოუნდნენ.

ქვეყნის განვითარების დონის განსაზღვრისათვის მეცნიერ-მკვლევარები მრავალ სხვადასხვა კლასიფიკაციას იყენებენ. საერთოდ აღიარებული, ყველასათვის მისაღები ქვეყანათა ჩამონათვალი, რომელიც მათი განვითარების დონეებს ასახავს, არ არსებობს. აქედან გამომდინარეობს ყველა გამოქვეყნებული ქვეყანათა რეიტინგების პირობითობა. პირობითობა კი დამოკიდებულია იმ ამოსავალ მიდგომებზე, რომლებსაც ანხორციელებენ რეიტინგის მიმნიჭებელი ორგანიზაციები. მაგალითად, 1971 წელს მიღებული კლასიფიკაციით გაეროს მიერ განვითარებადი ქვეყნების კლასიფიკაციის, სხვა ქვეყნების (არც განვითარებული, არც განვითარებადი) სახით ცალკე გამოიყოფოდა ის ქვეყნები, რომლის მოსახლეობაც 75 მილიონი და მეტი იყო.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ეკონომიკური განვითარების და ეკონომიკური ზრდის არაერთი მოდელია ცნობილი. ერთ-ერთი თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით განარჩევენ ეკონომიკური ზრდის 3 ტემპს:

1. **მოწინავე ზრდა (frontier growth)** რომელიც დამახასიათებელია იმ ქყვეყნებისთვის, რომლებიც ქმნიან თვისებრივად ახალ პროდუქტებს, ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ წარმოებას.

2. **კუდში მიმდევარ ზრდას (coat-tail growth)**, რომელიც დამახასიათებელია ნავთობის ან სურსათის ექსპორტიორი ქვეყნებისთვის, რომელთა ეკონომიკურ ზრდას სწორედ ამ პროდუქტების მიწოდება განაპირობებს.

3. **დამწევ ზრდას (catch-up)**, რომელიც დამახასიათებელია იმ ქვეყნებითვის, რომლებიც მინიმალური დანახარჯებით იყენებენ არსებულ ტექნოლოგიებს ,რათა წარმოებული პროდუქტების ექსპორტი შეძლონ მაღალშემოსავლიან ქვეყნებში.[15]

[15] პაპავა ვ., დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა ევროკავშირიდ პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო, საქართველოს სტრატეგიების დასაერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2018

დამწევი ზრდა, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკურად განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების დაახლოებას, კონვერგენციას. დამწევი ზრდის მოდელი არ ნიშნავს ეკონომიკის უბრალოდ მკვეთრ ზრდას. ამ მოდელის მიზანია ქვეყნის ისეთი განვითარება, როცა ეკონომიკურად შედარებით ჩემორჩენილი ქვეყანა ეკონომიკური განვითარების დონით დაეწევა მოწინავე ქვეყნებს. *დამწევი ზრდის* მოდელის საფუძველზე შესაბამისი ქვეყნები ავითარებენ ეკონომიკის ისეთ დარგებს, სადაც უფრო მეტი დამატებული ღირებულება იქმნება, რაც ხელს უწყობს ამ დარგებში შექმნილი პროდუქციის ექსპორტის გაფართოებას.

დამწევი ზრდის მოდელისგან პრინციპულად განსხვავებულია *ჩამორჩენილი ზრდის* მოდელი, რომელიცგანვითარებადი ქვეყნების არა კონვერგენციას, არამედ დაცილებას, დივერგენციას უწყობ ხელს.

როცა რომელიმე ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაში დომინირებული ადგილი უკავია შრომატევადი და რესურსტევადი დოვლათის წარმოებას, მაშინ ამ ქვეყნის ეკონომიკის *ჩამორჩენილი ზრდის* ტენდეციას აქვს ადილი. *ჩამორჩენილი ზრდის* მოდელი აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ზემოდხსენებული *კუდში მიმდევარი ზრდის* მოდელისგან, რადგანაც, პირველის თანახმად, ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს არსებული არამოწინავე ტექნოლოგიების მაქსიმალური დატვირთვით გამოყენება, მეორეს შემთხვევაში კი, ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს ნავთობპროდუქტების ან (და) სურსათის ექსპორტი. თეორიულად, *ჩამორჩენილი ზრდის* და *კუდში მიმდევარი ზრდის* მოდელების „თანაარსებობა“ სულაც არ არის გამორიცხული.

ჩამორჩენილი ზრდის მოდელიდან *დამწევი ზრდის* მოდელზე გადასასავლელად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანისეულ რესურსს. კერძოდ, საქმე ეხება იმ სპეციალისტებს, რომლებიც უნდა გახდნენ *დამწევი ზრდის* უმთავრესი შემოქმედნი. მათ, როგორც წესი, განათლება მიღებული უნდა ჰქონდეთ განვითარებული ეკონომიკის მქონე იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური ზრდა მაღალ ტექნოლოგიებს ეფუძნება. მათი როლი დიდი იქნება ეროვნული საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემის ჩამოყალიბება-

განვითარებაში, როცა ქვეყანას თავად შეეძლება საკუთარი რესურსებით *დამწევი ზრდის* მოდელზე გადასვლა. [16]

ეკონომიკური ზრდის განხილული მოდელებიდან საქართველოში პრაქტიკულად არც ერთი არ გამოიყენება, რაც საქართველოს ეკონომიკის განვითარების აშკარად პრიმიტიული სქემის შედეგია, რომელიც უმთავრესად ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდაზეა ორიენტირებული.

საქართველოს ეკონომიკისთვის დამახასიათებელია ქრონიკულლი სიღარიბე და განუვითარებელი საექსპორტო პოტენცილი, ხოლო მოსახლეობისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთ გასული ჩვენივე მოქალაქეების ფულად გზავნილებს. შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა *ღარიბი ქვეყნის განვითარების მომხმარებლური მოდელი.*

ეკონომიკური ზრდის ის მოდელი, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე საქართელოსთვის, შეიძლება შეფასდეს, როგორც უკიდურსად ჩამორჩენილი ზრდის მოდელი, როცა, სამწუხაროდ, ეროვნული ინოვაციური სისტემა პრაქტიკულად ჩანასახის მდგომარეობაშია ჯერ კიდევ, ხოლო არათუ ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებაზე, არამედ იმიტაციური , ანუ უკვე შექმნილი ტექნოლოგიების გადმოღება-გამოყენებაზე კი თითქმის საუბარი შეუძლებელია.

ქართული ღვინის ექსპორტის არსებითი გაზრდის ფონზე შესაძლებელია უკიდურესად ჩამორჩენილი ზრდის მოდელიდან საქართველო გადავიდეს *კუდში მიმდევარი ზრდის* მოდელზე, რაც ნამდვილად არ არის სახარბიელო პერსპექტივა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აუცილებელია საქართველომ შეიმუშაოს ისეთი სტრატეგია, რომ შესაძლებელი *გახდეს უკიდურესად ჩამორჩენილი ზრდის*

[16] პაპავა ვ., დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა ევროკავშირიდ პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო, საქართველოს სტრატეგიების დასაერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2018

მოდელიდან *დამწევი ზრდის* მოდელზე გადასვლის, როგორც შუალედური საფეხურის, გავლის გზით.[17]

როდესაც ვამბობთ, რომ საქართველოსა და მის მსგავს ქვეყნებს დამოუკიდებლად უხდებათ მაკროეკონომიკური პრობლემების დაძლევა, ვგულისხმობთ გარკვეულ ფარდობითობას, რადგანაც გლობალური გარემო ზემოქმედებს, როგორც დასაქმების შესაძლებლობათა ზრდაზე (ჩვენი მოქალაქეები მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ ეწევა შრომით საქმიანობას), ასევე ეკონომიკის ზრდაზე (უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობენ ეკონომიკის აღმავლობას). ასეთ სიტუაციაში ქვეყანა ვალდებულია შეიმუშაოს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნაბა მსოფლიო ბაზარზე მის კონკურენტულ უნარიანობის ზრდისაკენ და ქვეყანაში სოციალური პრობლემების გადაწყვეტისაკენ. მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ზრდა, ლიტონი სიტყვებია მანამ, სანამ ქვეყანაში არ შეიქმნება ისეთი ბიზნეს ერთეულები, რომლებსაც უნარი ექნებათ საკუთარი პროდუქციით გამოვიდნენ საერთაშორისო ასპარეზზე, რადგანაც ბაზარზე მოქმედებენ ფირმები და არა ქვეყნები.[18]

რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, დავიწყებას არ უნდა მიეცეს კონკურენტუნარიანობის ფუნდამენტალური პრინციპები და იგი არ უნდა შეეწიროს მოკლევადიან აუცილებლობებს. მომავალი კონკურენტუნარიანი ეკონომიკებისაა, რომლებიც ფაქტორების გათვალისწინებით მიემართებიან პროდუქტიულობის ზრდისაკენ და რომელზეც დღევანდელი და მომავალი კეთილდღეობა აიგება. ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის პრობლემატიკა, გლობალიზაციის პროცესების გაღრმავების კვალობაზე, კვლავ ინარჩუნებს აქტუალურობას.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესაფასებლად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ინდექსების მონაცემები. მათ შორისაა, ეკონომიკის ინდექსები, რომლებიც

---

[17] პაპავა ვ., დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა ევროკავშირიდ პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო, საქართველოს სტრატეგიების დასაერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2018

[18] იაკობიძე დ., საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო შეფასებათა თვალსაზრისით და განვითარების შესაძლებლობები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2017

მიუთითებენ კონკრეტული ქვეყნის კორუფციის, დემოკრატიის და მედია თავისუფლების დონეებს. შესაბამისად, აღნიშნული ინდექსები ქმნიან ერთ-ერთ მთავარი წინაპირობას ქვეყნის სტაბილური და გრძელვადიანი განვითარებისთვის. ვნახოთ, საქართველოს 2018 წლის რეიტინგები ინდექსების მიხედვით:

2005 წლიდან მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი თავის ანალიზს აფუძნებს **გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსზე** (Global Competitiveness Index, GCI), რომელმაც ეროვნული კონკურენტუნარიანობა მოიცვა მიკრო და მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლებით. ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების აზრით, კონკურენტუნარიანობა არის ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის პროდუქტიულობის დონეს. პროდუქტიულობის საზღვრები, თავის მხრივ, ადგენენ კეთილდღეობის იმ საზღვრებს, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნას ამა თუ იმ ეკონომიკის მიერ. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, უფრო კონკურენტუნარიან ეკონომიკურ სისტემას შესწევს ძალა მიაღწიოს უფრო მაღალი შემოსავლიანობის დონეს თავისი მოქალაქეებისათვის. პროდუქტიულობის ზღვარი ასევე ადგენს იმ უკუგების კოეფიციენტს, რომელიც გამოითვლება ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით. აღნიშნული უკუგების კოეფიციენტი გახლავთ ეკონომიკური ზრდის ტემპების ფუნდამენტური მაჩვენებელი.

საინტერესოა რეიტინგის მეთოდოლოგია, რომელიც საერთო ჯამში 111 მონაცემს აერთიანებს კონკურენტუნარიანობის თორმეტი ძირითად მახასიათებელში. რეიტინგის ინდიკატორები არის ის ძირითადი ორიენტირები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეფასებულ იქნას ეროვნული მთავრობები და წარმატების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი. თავდაპირველად ყურადღება გავამახვილოთ კონკურენტუნარიანობის შემდეგ ძირითად მახასიათებელზე, მასში შემავალ ინდიკატორებზე :

1. **ინსტიტუტები** (Institutions) მოიცავს 21 ინდიკატორს

2. **ინფრასტრუქტურა (Infrastructure)** მოიცავს 9 ინდიკატორს.

3. **მაკროეკონომიკური გარემო (Macroeconomic environment)** მოიცავს 6 ინდიკატორს.

4. **ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება (Health and primary education)** მოიცავს 10 ინდიკატორს.

5. **უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება (Higher education and training)** აერთიანებს 8 ინდიკატორს

6. **საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტიანობა (Goods market efficiency)** აერთიანებს 15 ინდიკატორს.

7. **შრომის ბაზრის ეფექტიანობა (Labor market efficiency)** მოიცავს 9 ინდიკატორს.

8. **ფინანსური ბაზრის განვითარებულობა (Financial market development)** აღნიშნულში გაერთიანებულია 9 ინდიკატორი.

9. **ტექნოლოგიური განვითარების დონე (Technological readiness)** 6 ინდიკატორით.

10. **ადგილობრივი ბაზრის მასშტაბები (Market size)** აერთიანებს 5 ინდიკატორს.

11. **ბიზნესის კონკურენტუნარიანობა (Business sophistication)** აერთიანებს 11 ინდიკატორს.

12. **ინოვაციები (Innovation)** მოიცავს 7 ინდიკატორს.[19]

როგორც ზემოთ ავღნიშნე, გლობალური კონკურენციის ინდექსი (GCI) რომელსაც განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ზომავს როგორც მაკროეკონომიკური

[19] ჩუთლაშვილი ა., გლობალური კონკურენტუნარიანობა და საქართველო, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2011

გარემოს ხარისხს, ისე ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობასა და ტექნოლოგიური მზაობის დონეს სწრაფი განვითარებისთვის.

რეიტინგი ძირითადად ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებსა (WB, IMF, etc.) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. აღნიშნული ყოველწლიური სტატისტიკური კვლევა ხორციელდება პარტნიორი ინსტიტუტების ხელსეწყობით. კვლევის ანგარიშში GCI ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს-კლიმატის შექმნისთვის და მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. გარდა ამისა კონკურენციის ინდექსი GCI განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს , ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისთვის.

2016-2017 წლის კვლევის ანგარიში მოიცავს 138 ქვეყანას, სადაც საქართველო 59-ე პოზიციაზე იმყოფება 138 ქვეყანას შორის , მისი სარეიტინგო ქულაა 4.32. საქართველომ პოზიცია 7 საფეხურით გაიუმჯობესა. 2004 წლის შემდეგ რეიტინგში სხვა ქვეყნების მიმართ, საქართველომ მოწინავე ადგილი დაიკავა სომხეთსა და უკრაინის შორის.(დიაგრამა N1)



ნ

ყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) ფაქტორთა ჯგუფი მოიცავს ქვეყნის გნვითარების 3 ძირითად საფეხურს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს 3 ქვე ინდექსს, რომელიც აერთიანებს 12 მაჩვენებელს. პირველი საფეხურის ძირითადი მოთხოვნებია: ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯანდაცვა და პირველადი განათლება. მე-2 საფეხურის ფაქტორთა ჯგუფი მოიცავს : უმაღლესი განათლება, სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა, შრომითი ბაზრის ეფექტიანობა, საფინანსო ბაზრის განვითარება, ტექნოლოგიური მზაობა და ბაზრის მოცულობა. ბიზნეს განვითარება და ინოვაციები კი შეადგენს მე-3 საფეხურის ქვეინდექსებს. (ცხრილი N1)

განვითარების საფეხურები	**მშპ(ერთ სულ მოსახლეზე აშშ $)**	**ქვეყნების რაოდენობა**
I საფეხური - ფაქტორ მამოძრავებელი	>2000	35 ქვეყანა
1 დან მე-2 საფეხურზე გარდამავალი	2,000-2,999	17 ქვეყანა
II საფეხური- ეფექტიანობის მასტიმულირებელი	3,000-8,999	30 ქვეყანა **(საქართველო)**
მე-2 -დან მე-3 საფეხურზე გარდამავალი	9,000-17,000	19 ქვეყანა
III საფეხური- ინოვაციის მამოძრავებელი	<17,000	37 ქვეყანა

ცხრილი N 1 (წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)

2016-2017 წლებში საქართველოს მდგომარეობა 2015-2016 წლებთან შედარებით გაუმჯობესდა 4 საფეხურით 4.9 ქულა-ძირითადი მოთხოვნებში, გაუმჯობესდა 8 საფეხურით 4.1 ქულა-ეფექტიანობის მასტიმულირებელში, გაუმჯობესდა 5 საფეხურით 3.2 ქულა-ინოვაციები და განვითარების ფაქტორებში. სადაც, 4.51-დან 5.44 ქულამდე მაღალ მაჩვენებლად ითვლება, 3.51-4.50-მდე ზომიერი მაჩვენებლია, ხოლო 3.01-დან 3.50 ქულამდე ითვლება რომ მაჩვენებელი დაბალია. [20]

Heritage Foundation's ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი- გახლავთ ინდექსი, რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს ამერიკული გამომცემლობა ჰერითიჯი, მოიცავს 180 ქვეყნის რეიტინგს ეკონომიკური თავისუფლების დონის მიხედვით. თითოეული ქვეყანა 5-

[20] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2016-2017, 2016

დან ერთ-ერთ კატეგორიას მიეკუთვნება: თავისუფალი, მეტწილად თავისუფალი, საშუალო თავისუფლების მქონე, მეტწილად არათავისუფალი და რეპრესიული. ქვეყნების შეფასება ხდება 4 მთავარი კრიტერიუმით:

- სასამართლო (საკუთრების უფლებები, სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობა);
- მთავრობის ზომა (საგადასახადო ტვირთი, სამთავრობო ხარჯები, ფისკალური ეფექტურობა);
- ბიზნესის რეგულირების ეფექტურობა (ბიზნესის თავისუფლება, სამუშაო ძალის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება);
- ბაზრის გახსნილობა (ვაჭრობის თავისუფლება, საინვესტიციო თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება);

2018 წლის რეიტინგში საქართველო 76.2 ქულით (100-ქულიანი სისტემიდან) მე-16 პოზიციას იკავებს და თავისუფალი ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს იგი მე-13 პოზიციაზე იყო წარმოდგენილი 76.0 ქულით. წარმოდგენილ ანგარიშში საქართველოსთვის პრობლემად სასამართლო სისტემა სახელდება, ხოლო ქვეყნის უპირატესობად დასახალებულია დაბალი გადასახადები, სავაჭრო ტარიფები და ნაკლები რეგულაციები.

რეიტინგში ლიდერობენ: ჰონგ კონგი (90.2), სინგაპური (88.8), ახალი ზელანდია (84.2), შვეიცარია (81.7), ავსტრალია (80.9) და ირლანდია (80.4). ეს ექვსეული თავისუფალი ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება. რეპრესიული რეჟიმის ქვეყნების მცირე ჩამონათვალია: ჩრდილოეთ კორეა (5.8), ვენესუელა (25.2), კუბა (31.9), კონგო (38.9), ერიტრეა (41.7), ეკვატორული გვინეა (42.0).[21]

ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლება უდავოდ აისახება გრძელვადიან ეკონომიკურ პროგრესსა და საერთო განვითარების დონეზე. ეკონომიკური თავისუფლების მქონე ქვეყნების მოქალაქეები ხასიათდებიან სიცოცხლისუნარიანობის მაღალი დონით, მაღალი

[21] ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, 2018 http://business.org.ge/ekonomikuri-tavisuflebis-indeqsi-2018

შემოსავლების ცხოვრების დონით, ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობებითა და უკეთესი ჯანდაცვის სისტემით.

საქართველომ გააუმჯობესა ეკონომიკური თავისუფლების ხუთი მიმართულება, მათ შორის, კორუფციისგან თავისუფლება, სახელმწიფო ხარჯების კონტროლი, ბიზნესის თავისუფლება, ფულადი თავისუფლება და საინვესტიციო თავისუფლება. 2017 წლამდე, ყველაზე მაღალი ქულა 2015 წელს დაფიქსირდა და საქართველომ, "მეტად თავისუფალი" ქვეყნების სიაში, მაღალ საფეხურზე აიწია, საქართველოს მე-9 ადგილი უჭირავს ევროპის რეგიონში და მისი ქულა რეგიონის საშუალოზე საგრძნობლად მაღალია.[22]

Fraser Institute's-ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ზომავს ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას მთავრობის ზომის, რეგულაციების, თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის, სტაბილური ფასების, კანონის უზენაესობისა და საკუთრების უფლების მიხედვით. აღნიშნული ინდექსით 2017 წელს საქართველო იყო მე-8 ადგილზე და გადაინაცვლა მე-7 ადგილზე 8.02 ქულით (162 ქვეყანას შორის) 2018 წლის რეიტინგებში. პირველ ადგილზე რეიტინგებში არის ჰონკონგი.

ბიზნესის კეთების ინდექსი (Business Doing Index) გამოქვეყნდა მსოფლიო ბანკის მიერ. ქვეყნები შეფასდნენ 10 კრიტერიუმის მიხედვით, როგორებიცაა, ბიზნესის დაწყება, გადასახადების გადახდა, კრედიტის აღება, საკუთრების რეგისტრაცია. 2017 წელს საქართველო იყო მე-9 ადგილზე, 2018 წლის რეიტინგებში გადაინაცვლა მე-6 ადგილზე 60.9 ქულით (190 ქვეყანას შორის). ჰონკონგი რეიტინგების ლიდერია.[23]

Doing Business- არის მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომლის ანგარიშიც ქვეყნდება ყოველწლიურად. ის წარმოადგენს რაოდენობრივ მაჩვენებლებს ბიზნესის რეგულირებასა და საკუთრების დაცვის უფლებაზე. აღნიშნული ანგარიში იკვლევს იმ

[22] პროგრამის'აწარმოესაქართველოში' ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური მხარდაჭერის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების შედეგების შეფასება, ბიდიო, 2018
[23] Namchavadze B., Georgia in 2018 Rankings, Forbes Georgia in English, ,12th edition, 2019

რეგულირებებს, რომლებიცც აძლიერებს/აფერხებს ბიზნეს-საქმიანობას. ბიზნესის კეთების მაჩვენებელი ზომავს:

- ბიზნესის რეგულირებას, ქონების უფლებების დაცვასა და მათ მნიშვნელობას ბიზნესზე, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოებზე.
- რეგულირების ხარისხს, როგორიცაა, ბიზინესის დაწყების, რეგისტრირებისა და კომერციული უფლებების გადაცემისთვის საჭირო პროცედურების რაოდენობა.
- ზომავს რეგულირების შედეგებს: დროსა და დანახარჯებს, ასევე კონტრაქტების განხორციელების და საზღვრებს შორის ვაჭრობისთის, საკუთრების სამართლებრივი დაცვის ხარისხი და მაჩვენებლები, რომლებიც აწესრიგებენ გადასახადების სიმძიმეს ბიზნესზე.

პირველი ბიზნეს-კეთების ანგარიში გამოქვეყნდა 2003 წელს, რომელმაც მოიცვა 133 ეკონომიკის 5 მაჩვენებელი, ხოლო 2019 წელს გამოქვეყნებული ანგარიში მოიცავს გაზრდილ 190 ეკონომიკის 10 მაჩვენებელს. ესენია:

- აფრიკა: 48 ქვეყანა
- ლათინური ამერიკა და კარიბისი ზღვის აუზის ქვეყნები: 23 ქვეყანა
- ევროპა და ცენტრალური აზია: 23 ქვეყანა
- აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანის ქვენყნები: 25 ქვეყანა
- შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა: 20 ქვეყანა
- სამხრეთ აზია: 8 ქვეყანა
- OECD-ის მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნები: 34 ქვეყანა.

რეიტინგებს რომ გადავხედოთ, საქართველომ 190 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი დაიკავა(დიაგრამა N2) ქვეყნების დაშორებით საუკეთესო მაჩვენებლიდან (DTF)- 83.28 ქულა (0.48 პუნქტიანი გაუმჯობესება). (დიაგრამა N2)



დიაგრამა N2 (წყარო: A World Bank Group Flagship Report)

როგორც ვხედავთ, ბიზნესის კეთების სიიოლით საქართველომ 2019 წელს კიდევ წინ წაიწია და მსოფლიოში მე-6-ე ადგილი დაიკავა. აღნიშნული მაჩვენებელი კომპლექსური ინდიკატორია და რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს შეიცავს. მათ შორისაა, მაგალითად, ბიზნესის დაწყების სიიოლე, რომლითაც საქართველო მსოფლიოში უკვე მეორე ადგილზეა (ისევე, როგორც მინორიტარ ინვესტორთა დაცულობის მხრივ); საკუთრების რეგისტრაციის მხრივ ჩვენი ქვეყანა მეოთხე ადგილზე იმყოფება, გადასახადების გადახდის სიიოლით - 16-ე ადგილზე, ხოლო მშენებლობის ნებართვების მიღების მიხედვით, მიუხედავად ბოლო პერიოდში გამკაცრებული რეგულაციებისა - 27-ე ადგილზე.[24]

ეკონომისტები და ანალიტიკოსები საქართველოს წარმატებას 2015-2019 წლებში იმ რეფორმების განხორციელებას უკავშირებენ, რომლის მიზანი ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემოს დახვეწა გახლდათ. რეფორმების ჩამონათვალშია:

[24] ი. არჩვაძე, ბიზნესის კეთების მიხედვით რეიტინგული გაუმჯობესება, კომერსანტი, 2019

- **ბიზნესის დაწყება-**ბიზნესისთვის დღგ-ს გადასახადის ნებაყოფლობითი რეგისტრაციის შესაძლებლობის მიცემის შედეგად 2019 წელს გამარტივდა ბიზენსის დაწყება. საქართველომ ასევე გააფართოვა არსებული „ერთი ფანჯრის პრინციპი'' (one –stop shop) ბიზნესებისთვის, რაც გულისხმობს მეწარემეების მიერ კომპანიის საქმიანობის დაწყებას ერთი პროცედურის მეშვეობით. (2019 წელს საქართველო მე-2 ადგილზეა)
- **მშენებლობის ნებართვის** კუთხით, 2016 წელს მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურა გამარტივდა ნებართვის გაცემისთვის საჭირო დროის შემცირებით. (2019 წელს საქართველო მე-27 ადგილზეა)
- **ელექტროენერგიის ქსელთან მიერთება**- ამ მხრივ 2017 წლიდან გაუმჯობესდა ელექტროენერგიით მომარგების საიმედოობა, რადგან დაწესდა საჯარიმო სანქციები ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის ხანგრძლივობის დადგენილ ნორმაზე გადაჭარბებისთვის.(2019 წელს საქართველო 39-ე ადგილზეა)
- **ქონების რეგისტრაცია-** 2017 წელს გაუმჯობესდა მიწის ადმინისტრირება თბილისში კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთების რუკაზე დატანით. (2019 წელს საქართველო მე-4 ადგილზეა)
- **კრედიტების მიღება-** 2013 წელს საქართველომ გააძლიერა უზრუნველყოფილი ტრანზაქციების სისტემა სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანით, შედეგად საგირავნო უფლება გავრცელდა პროდუქტებზე და უზრუნველყოფის ჩანაცლებაზე. ხოლოდ 2014 წელს გაუმჯობესდა საკრედიტო ინფორმაციის სისტემა ახალი კანონის მიღებით „პერსონალური მონაცემების დაცვა''-ზე. (2019 წელს საქართველო მე-12 ადგილზეა)
- **გადასახადების გადახდა-** 2013 წელს გამარტივდა გადასახადების გადახდა ელექტრონული სისტემის გამოყენებითა და დამატებითი მომსახურების დანერგვით გადასახადის გადამხდელისთვის. 2017 წელს გადსახადის გადახდის სფეროში საქართველომ გააუქმა მოგების გადასახადის დეკლარაციის დამატებითი დანართი და გააუმჯობესა დღგ-ს დეკლარაციების წარსადგენად გამოყენებული ონლაინ

სისტების ეფექტიანობა. ამავე წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმა საგადასახადო სფეროში,კერძოდ, გაუნაწილებელი მოგება გათავისუფლდა მოგების გადასახადიდან, რომელიც რეინვესტირების წყაროა. აღნიშნული რეფორმის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა მთლიანი საგადასახადო ტვირთის წილი მთლიან მოგებაში და ეს მაჩვენებელი 9.9%-ს გაუტოლდა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 6.5 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. (2019 წელს საქართველო მე-16 ადგილზეა)

- **ვაჭრობა საზღვრებს მიღმა-** 2013-2017 წლებში შემცირდა ექსპორტისა და იმპორტისთვის საჭირო დრო, შესაძლებელი გახდა ექპორტის და იმპორტის ელექტრონული დოკუმენტების წინასწარი წარდგენა.(2019 წელს საქართველო 43-ე ადგილზეა)
- **გადახდისუუნარობა-** 2018 წელს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში გაიზარდა როგორც კრედიტორის, ისე მოვალის უფლებამოსილების ხარისხსი. (2019 წელს საქართველო მე-60 ადგილზეა)
- **მინორიტალურ ინვესტორთა უფლებების დაცვა-** საქართველომ გააძლიერა მცირე ინვესტორების დაცვა აქციონერთა უფლებების და როლის გაზრდით ძირითადი კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღებაში. (2019 წელს საქართველო მე-2 ადგილზეა)
- **კონტრაქტის აღსრულება-** კონტრაქტების აღსრულების გამარტივების მიზნით საქართველომ შემოიღო სასამართლო საქმეებზე მოსამართლეთა შემთხვევითი შერჩევის და ავტომატური დანიშვნის მექანიზმი. (2019 წელს საქართველო მე-7 ადგილზეა)[25] (დიაგრამა N3)

[25] A World Bank Group Flagship Report, Doing Business 2019 (Ecomoy Profile Georgia), 16 th edition, 2019



დიაგრამა N3 (წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო*)*

უცხოური ფინანსური კაპიტალის დაინტერესება უკვე სცდება საქართველოს ეკონომიკის მასშტაბებს და ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებით ქმნის სერიოზულ პლათფორმას მის მეზობელ თუ არამეზობელ სახელმწიფოებში აქტიური მოქმედებისათვის. როგორც ვხედავთ, საქართველოს რეიტინგი ბიზნესის კეთების მხრივ ხომ თავის ნებისმიერ სახმელეთო მეზობელთან შედარებით გაცილებით უკეთესია. მაგალითად, ბიზნესის კეთების სიიოლით აზერბაიჯანი, მსოფლიო ბანკის შეფასებით, მსოფლიოში 25-ე ადგილზეა, რუსეთის ფედერაცია - 31-ე, სომხეთი - 41-ე, თურქეთი კი - 43 ადგილზე.[26] (დიაგრამა N4)

[26] ი. არჩვაძე, ბიზნესის კეთების მიხედვით რეიტინგული გაუმჯობესება, კომერსანტი, 2019



დიაგრამა N4 (წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2019*)*

NSEAD-ის 2018 წლის ანგარიში **გლობალური ინოვაციის ინდექსი** პოზიტიურად აფასებს საქართველოს საინვესტიციო გარემოს თავისუფლებას. საქართველოს მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 15 პოზიციით არის გაუმჯობესებული და ნაცვლად 36-ე ადგილისა 2018 წელს 21-ე ადგილზე იმყოფება. 2018 წელს ასევე გაუმჯობესდა საქართველოს მდგომარეობა საინვესტიციო გარემოს თავისუფლების შემდეგ კომპონენტში:

- მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა, სადაც რეიტინგი 18 ადგილით არის გაუმჯობესებული - ნაცვლად 2012 წელს მე-20 ადგილისა, 2018 წელს მე-2 ადგილზეა;

- 2018 წლის ანგარიშის გლობალური ინოვაციის ინდექსი მიხედვით, 2012 წელთან შედარებით, საქართველო ბიზნესის დაწყების კომპონენტში მე-4 პოზიციით დაწინაურდა და ახლა მე-8 ადგილიდან 2018 წელს მე-4 ადგილზე გადმოინაცვლა.

INSEAD-ის 2018 წლის **გლობალური ინოვაციის ინდექსის** შეფასებით, კრედიტის მიღების კომპონენტში საქართველომ ბოლო 6 წლის განმავლობაში 10 პოზიციით დაწინაურდა შესძლო და 2018 წელს მე-11 ადგილზე გადაინაცვლა.

საერთაშორისო საკუთრების უფლების ინდექსი (International Proprty Right Index) გამოქვეყნდა Property Rights Alliance-ს მიერ. საკუთრების დაცვის დონე მაქსიმუმ 10 ქულით ფასდება. საქართველომ 4.7 ქულა მოიპოვა. საკუთრების დაცვის საერთაშორისო ინდექსი სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება, ესენია: ქვეყნის სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო, ფიზიკური საკუთრების დაცვა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. სამართლებრივ და პოლიტიკურ გარემოში საქართველოს 5.3 ქულა აქვს (წინა წელთან შედარებით 0.1-ით შემცირდა), ფიზიკური საკუთრების დაცვაში 5.8 (წინა წელთან შედარებით 0.1-ით შემცირდა), ხოლო ინტელექტუალური საკუთრების დაცვაში 3 ქულა (წინა წელთან შედარებით 0.5-ით გაიზარდა). საკუთრების დაცვის რეიტინგში საქართველოს ისეთი ქვეყნებიც უსწრებენ, როგორებიცაა: ეთიოპია, მალი, კენია, ლიბერია, ზამბია, ვიეტნამი, ნეპალი, სენეგალი და შრი ლანკა. რეიტინგში პირველ ადგილს იკავებს ახალი ზელანდია, ხოლო ბოლო – 127-ე ადგილზე იემენის რესპუბლიკაა.

გლობალიზაციის KOF ინდექსი ამა თუ იმ ქვეყნის მსოფლიო სივრცეში ინტეგრირების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება. ეს აგრეგირებული მაჩვენებელია და მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს, ხოლო ამ სამი ინდექსის შეწონის შედეგად ერთიანი გლობალიზაციის ინდექსს ანგარიშობენ. ერთიან KOF ინდექსში ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსს აქვს 36%-ული წილი, სოციალური გლობალიზაციისას – 37%-ული, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსს - 26%-ული. ინდექსი გამოქვეყნებულია Swiss Economic Institute (ETH) მიერ. გლობალიზაციის ხარისხი განისაზღვრა საერთაშორისო ვაჭრობის, უცხოური კაპიტალისა და მიგრაციის

მიხედვით ხდება. მეტი გლობალიზაცია ნიშნავს მეტ განვითარების პოტენციალს. 2017 წელს გამოქვეყნებულ რეიტინგებში საქართველომ დაიკავა მე-19 ადგილი, ხოლო 2018 წელს 79.5 ქულით მე-18 ადგილზეა (178 ქვეყანას შორის). ლიდერი ჩამონათვალში სინგაპურია.[27]

კორუფციის აღქმის ინდექსი (Corruption Perception Index) გამოქვეყნდა Transparency International-ის მიერ. ინდექსი ემყარება ექსპერტების მოსაზრებებს საჯარო სექტორში კორუფციის დონის შესახებ. 2012 წლიდან კვლევა ახალი მეთოდოლოგიით ტარდება, რომელიც სხვადასხვა წლის შედეგების შედარების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული ინდექსი საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების საფუძველზე მზადდება, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა ქვეყანაში კორუფციის მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასებას შეიცავს. 2017 წელს საქართველო რეიტინგებში იკავებდა 44-ე ადგილს, 2018 წელს კი 46-ე ადგილზე გადაინაცვლა 56 ქულით (180 ქვეყანას შორის). რეიტინგში პირველ ადგილზე ახალი ზელანდიაა.

EIU-ს დემოკრატიის ინდექსი-დემოკრატიის რეიტინგი ყოველწლიურად ბრიტანული გამოცემის "ეკონომისტის" მიერ ქვეყნდება. იგი იკვლევს დემოკრატიის მდგომარეობას 165 დამოუკიდებელ ქვეყანასა და 2 ტერიტორიაში. დემოკრატიის ინდექსი დაფუძნებულია 5 კრიტერიუმზე: საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი; სამოქალაქო თავისუფლება; მთავრობის ფუნქციონირება; პოლიტიკაში ჩართულობა; პოლიტიკური კულტურა. თითოეულ ამ მაჩვენებელში მიღებულ ქულაზე დაყრდნობით ხდება კონკრეტული ქვეყნის 4-დან ერთ რომელიმე ჯგუფზე მიკუთვნება. აღნიშნული ჯგუფებია: სრული დემოკრატი, არასრული დემოკრატია, ჰიბრიდული რეჟიმი და ავტორიტარული რეჟიმი.[28]

The Reporters Without Borders' World Press-თავისუფლების ინდექსი დაფუძნებულია კვლევებს და ექპერტთა შეფასებებზე. 2017 წელს საქარათველო რეიტინგით 64-ე

[27] ბლიაძე მ., გლობალური ინდექსები - გლობალური სამყაროს საზომები, 2017
[28] http://business.org.ge/reitingi-demokratiis-indeqsi-2017/

პოზიციაზე იყო, ხოლო 2018 წლის 61-ე საფეხურზე გადაინაცვლა 27.34 ქულით (180 ქვეყანას შორის). რეიტინგის სათავეშია ნორვეგია.

Freedom House's პრესის თავისუფლების ინდექსი დაფუძნებულია ექსპერტთა და მკვლევართა შეფასებებზე. ინდექსის რეიტინგი 2017 წელს მე-100 ადგილი იყო, ხოლო 2018 წელს საქართველომ 102-ე პოზიციაზე გადაინაცვლა (199 ქვეყანას შორის). [29]

თუ გადავხედავთ საქართველოს პოზიციებს, შეიძლება ვთქვათ, რომ აღნიშნული რეიტინგები, ეს არის სერიოზული გზავნილი ინვესტორებისათვის საქართველოში ბიზნეს აქტიურობის გაფართოებისა და ინვესტიციების განსახორციელებლად. ლიბერალური და დაბალი საგადასახადო განაკვეთები, სტაბილური და მუდმივად გაუმჯობესებად რეჟიმში მყოფი ბიზნეს გარემო სულ უფრო ზრდის საქართველოს პერსპექტივას, თანაც არა მხოლოდ სატრანსპორტო-საკომუნიკაციო კუთხით, არამედ ფინანსური ასპექტითაც.

[29] Namchavadze B., Georgia in 2018 Rankings, Forbes Georgia in English, ,12th edition, 2019

1.3 ბიზნეს სექტორის სტატისტიკური ანალიზის საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიმოხილვა

დღესდღეობით ეკონომიკური ანალიზისთვის მნიშვნელოვნად დიდია ბიზნეს სტატისტიკის საჭიროება. იმისთვის რომ ანალიზი იყოს რეალობასთან მაქსიმალურად ახლო და შესაბამისი სხვა დანარჩენ ინდიკატორებთან, აუცილებელია, ზუსტი მონაცემებით სარგებლობა. ვინაიდანაც ეკონომიკური ანალიზისთვის მნიშვნელოვნად დიდია ბიზნეს სტატისტიკის საჭიროება, იმისთვის რომ ანალიზი იყოს რეალობასთან მაქსიმალურად ახლო და შესაბამისობაში მოდიოდეს სხვა დანარჩენ ინდიკატორებთან, აუცილებელია, ზუსტი მონაცემებით სარგებლობა.[30]

სტატისტიკურ მონაცემებს ამუშავებს და პროგნოზს უკეთებეს სტატისტიკის სამსახური ადმინისტრაციულ წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ, შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს ბრუნვას, დასაქმებულ პირთა რაოდენობასა და ხელფასებს, ხოლო ინფორმაციას მშენებლობისთვის მინიჭებული უფლებისა და დასრულებული ობიეტების შესახებ ხელმისაწვდომია არქიტექრურის სამსახურიდან. ბიზნეს რეესტრის განახელების სხვა წყაროებია სხვადასხვა ბიზნეს სტატისტიკური კვლევები, რომლების კვარტალური და წლიური გამოკითხვის ფორმით ტარდება. გარდა ამისა, საქსტატის შესაბამისი განყოფილება მუდმივად მუშაობს გააუმჯობესოს ბიზნეს რეესტრის მუშაობის ხარისხი და ხელი შეუწყოს მის განვითარების, როგორც ადგილობრივ, ასვე საერთაშორისო დონეზე დანერგილი პრაქტიკის კვალდაკვალ.

დღესდღეობით SBR ასრულებს რამდენიმე მნიშვნელოვანი როლს, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული და სხვა წყაროებიდან მონაცემების ინტეგრაცია და გამოყენება,მეორე, კარგად განვითარებული სტატისტიკური ბიზნესის რეესტრი აყალიბებს საწარმოებისა და სხვა სტატისტიკური ერთეულების ყოვლისმომცველი ნუსხას და მათი შესახებ ინფორმაციას. გარდა ამისა, ბიზნესის რეესტრი წარმოადგენს ბიზნესის

[30] Eurostat, Methodology of short-term business statistics, 2006

დემოგრაფიის ძირითად წყაროს, რადგან ისინი ქმნიან დოკუმენტაციას ბიზნესის შერწყმის, გაყოფისა და დახურვის შესახებ.[31]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ბიზნეს სექტორის კვლევის შედეგებს აქვეყნებს, როგორც კვარტალური ასევე წლიური მონაცემების სახით. კლასიფიკაციის ას მონაცემები ქვეყნდება ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის (NACE Rev. 1) და 2017 წლის I კვარტალიდან (NACE Rev. 2) სექციების მიხედვით. საწარმოთა კვარტალური სტატისტიკური გამოკვლევა მოიცავს მთელ ბიზნეს სექტორს, არაფინანსური კოორპორაციების გარდა(როგორებიცაა, ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ა.შ.)

სტატისტიკური პოპულაციაში შედის აქტიური საწარმო, რომელთა ეკონომიკური საქმიანობა დაკავშირებული არ არის ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის შემდეგ სექციებთან: ფინანსური შუამავლობა, საჯარო მმართველობა, და შინამეურნეობების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის და ბოლოს ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა. ხოლო ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორ NACE Rev. 2-ში: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება, შინამეურნეობების (როგორც დამქირავებლის) საქმიანობები, არადიფერენცირებული საქონლისა და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის, ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა.

სტატისტიკური პროცესებისა და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით[32] „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური

[31] United Nations Economic Commission for Europe, Guidelines on Satistical Business Registers, New York and Geneva, 2015

[32] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2836812?publication=0

პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (QAF). საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. მონაცემთა პირველადი შემოწმება პროგრამულად, მონაცემთა ბაზაში არსებული არითმეტიკული კონტროლის საფუძველზე. მეორადი კონტროლი ხორციელდება როგორც გამოკვლევის საველე პერსონალის (ინტერვიუერების), ისე ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის შესაბამისი სამმართველოს თანამშრომლების მიერ.[33]

მონაცემთა გაანგარიშებისთვის საწარმოთა შერჩევა ხორციელდება შემთხვევითი სტრატიფიცირებული შერჩევის საფუძველზე, შეწონვა კი ხდება ყოველკვარტალურად. შედეგად მოპოვებული მონაცემები მრავლდება მინიჭებულ წონებზე, საწარმოთა დონეზე და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მათი დაჯამება იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებსაც ითვალისწინებს ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია.

მონაცემების სისრულე შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ზოგადი სიზუსტე ხდება მიღებული მონაცემების შედარება გასული პერიოდის შესაბამის მონაცემებთან. რიგ შემთხვევებში, დამუშავების პროცესში ხდება მონაცემთა გადამოწმება როგორც ადმინისტრაციულ წყაროებში, ისე საწარმოს წარმომადგენლებთან. შერჩევითი ცდომილება ქვეყნის დონეზე არ აღემატება 0.5%-ს; ეკონომიკური საქმიანობის სახეების ფარგლებში – 2%-3%-ს; რეგიონის დონეზე – 1-2%-ს; ხოლო სტრატის დონეზე – 10%-ს. მონაცემთა ძირითადი მომხმარებლები არიან: ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები,

[33] http://geostat.ge, საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური)

მკვლევარები და სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, მედია საშუალებები და სხვ. მათ აღნიშნული მონაცემები ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად, მარკეტინგული სტრატეგიის დასაგეგმად ან ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად და შესაფასებლად. [34]

თავი II : ბიზნეს სექტორის განვითარების ტენდენციების სტატისტიკური ანალიზი საქართველოში

2.1 საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის მაჩვენებელთა სისტემა

საწარმოთა წლიური სტატისტიკური გამოკვლევის ფარგლებში ქვეყნდება ძირითადად ცხრა მაჩვენებელი: ბრუნვა; პროდუქციის გამოშვება; დასაქმებულთა რაოდენობა – სულ; მათ შორის დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა; დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება; დამატებული ღირებულება; შუალედური მოხმარება; შრომითი დანახარჯები; საქონლისა და მომსახურების ყიდვები; გასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები; ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივში. აღნიშნული მონაცემები ქვეყნდება: საწარმოთა ზომის; ეკონომიკური საქმიანობის სახეების; საკუთრების ფორმების; ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით; რეგიონების მიხედვით.[35]

---

[34] http://geostat.ge, საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური)

[35] ევრო SDMX მეტამონაცემების სტრუქტურა (ESMS) საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური), http://geostat.ge

საწარმოების ზომის მიხედვით დაყოფა შემდეგნაირია: მსხვილი, საშუალო და მცირე. 2017 წლამდე საწარმოთა ზომა განისაზღვრებოდა შემდეგი მეთოდოლოგიით: მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1.5 მლნ. ლარს. საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 0.5 მლნ. ლარიდან 1.5 მლნ. ლარამდე. მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ. ლარს.

2017 წლიდან შეიცვალა საწარმოთა ზომის განსაზღვრის მეთოდოლოგია, კერძოდ, მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ რაოდენობას:

- მცირე საწარმოებისთვის - 50 დასაქმებულსა და 12 მლნ. ლარს
- საშუალო საწარმოებისთვის - 249 დასაქმებულსა და 60 მლნ. ლარს
- მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 249 კაცს და წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს[36]

[36] მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია 2018, https://www.geostat.ge

2.2 საწარმოთა სტატისტიკურ მაჩვენებელთა დინამიკური ანალიზი

ბიზნეს სექტორის როგორც ბრუნვის, ისე მთლიანი გამოშვების ზრდის ტემპი წინ უსწრებს მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალურ ზრდის ტემპს, ამ უკანასკნელის ფორმირებაში კი ბიზნეს სექტორის როლი და მონაწილეობის დონე მატულობს, რაც ცალსახად არის პოზიტიური პროცესი ქვეყნის ეკონომიკის ჭრილში. ბიზნეს სექტორის განვითარებაში მზარდი როლი ეკუთვნის მომსახურების სექტორს. ბოლო ერთი წლის მანძილზე მომსახურების წილი მთლიან ბრუნვაში გაიზარდა 74.4%-დან 79.5%-მდე, ხოლო პროდუქციის მთლიან გამოშვებაში გვაქვს შემდეგნაირი ზრდა-52.5%-დან 55.6%-მდე;

დღევანდელი მონაცემებით, ბიზნეს სექტორის როგორც ბრუნვაში, ისე გამოშვებაში ყველაზე მაღალი წილი მსხვილ წარმოებებს უკავიათ (ბრუნვაში - 54.5%, გამოშვებაში - 41.3%), თუმცა, საბედნიეროდ, მიმდინარე მონაცემები გვაძლევს საშუალებას დავინახოთ, რომ საშუალო და მცირე ბიზნესის უფრო დინამიური, სწრაფი განვითარების ხარჯზე მსხვილი ბიზნესის წილი თანდათან კლებულობს და შესაბამისად, იზრდება როგორ მცირე, ასევ საშუალო ბიზნესის წილი. კერძოდ, პროდუქციის მთლიან გამოშვებაში მცირე და საშუალო ბიზნესის წილად მოვიდა მთელი მატების 82.2%, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ გამოშვებული პროდუქციის მატების ტემპი 3.5-ჯერ აღემატებოდა მსხვილი ბიზნესის მიერ გამოშვებული პროდუქციის მატების ტემპს, მათ შორის კი მხოლოდ მცირე ბიზნესისა (16.7%)– ანუ 4.5-ჯერ. ამასთანავე, შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი (პროდუქციის გამოშვება ერთ დასაქმებულზე) მსხვილ წარმოებაში 1.4-ჯერ აღემატება მცირე და საშუალო საწარმოების ანალოგიურ მაჩვენებელს.

გასულ წლებში, ბიზნეს სექტორში დასაქმებულებზე მოდიოდა საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა 2/5 და დაქირავებით დასაქმებულთა 72 %, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 71.8 % მომსახურების სექტორში, ხოლო დანარჩენი 28.2 % - ეკონომიკის რეალურ სექტორში **(მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა)** იყო დასაქმებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკის რეალურ სექტორში შრომის მწარმოებლურობა 2-ჯერ აღემატებოდა მომსახურების სექტორში დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობას.

ბიზნეს სექტორის წილი ქვეყნის მშპ-ის 2/3-ზე მეტია და აღნიშნული წილი მზარდია. ეს ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს, გატარებული რეფორმებისა და იმ შეღავათებს ეფუძნება, რაც ბოლო წლებში განმავლობაში გადაიდგა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად. 2013 წლის შემდეგ ეროვნულ მეურნეობაში ყოველი ოთხი დამატებული დაქირავებით დასაქმებულიდან სამ ბიზნეს-სექტორზე მოდიოდა, ხოლო იმავე პერიოდში დასაქმებულთა მთლიანი კონტინგენტის 35 000-ით ზრდის პირობებში ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 130 000-ით გაიზარდა. შესაბამისად, განუხრელად იზრდება როგორც ბიზნეს-სექტორის წვლილი საქართველოს მთლიან ეკონომიკაში, ისე მთლიანად საერთაშორისო მასშტაბით ქართული ეკონომიკისა და მისი წარმოებული პროდუქციის ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის ჭრილში.

იმისთვის, რომ დავინახოთ ბიზნეს სექტორის მიმდინარე მონაცემები, გავეცნოთ კვარტლურ ინფორმაციას, კერძოდ, 2019 წლის პირველ კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა 27.5 %-ით 22.9 მილიარდ ლარამდე გაიზარდა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც,სადაც გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ 9.5 მილიარდი ლარს მიაღწია, რაც 9 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდს.გამოშვების აღნიშნულ მონაცემებსი მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 41.3 %, საშუალოზე - 24.8 %, ხოლო მცირე ბიზნესზე - 33.9 %. ეს იმას ნიშნავს, რომ მსხვილი ბიზნესი გამოშვების თვალსაზრისით დომინანტის როლს თმობს და იკვეთება ტენდენცია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ეკონომიკურ ზრდაში სულ უფრო მნიშვნელოვან კონტრიბუტორებად გვევლინებიან ბიზნეს სექტორში. აქვე აღვნიშნავ, რომ რომ 2019 წლის პირველ კვარტალში ბიზნეს სექტორის გამოშვების ზრდაში მცირე და საშუალო საწარმოების წვლილმა 7.4 % შეადგინა.ასევე, ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (21.4 %)

და ვაჭრობა (17.2%), შემდეგ მოდის მშენებლობა (14.7 %) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9.8%-ით წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 36.9 % უჭირავს.

ზოგადად ბიზნესსექტორში ყველაზე დიდი წილი 39.8 % ვაჭრობაზე მოდის (მათ შორის, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 23.9%-იანი წილით, შემდეგ დამამუშავებელი მრეწველობა–9.1%, მშენებლობა–5.7%, რაც შეეხება, ტრანსპორტი და დასაწყობება–5.7%, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება კი 4.3 %.

მთლიანობაში, ბიზნეს სექტორში საშუალოდ 663.8 ათასი ადამიანია დასაქმებული, ეს მაჩვენებელი წინა 2108 წლის ანალოგიურ პერიოდს 4.2 პროცენტით უსწრებს. რაც შეეხება საშუალო ხელფასს, სტატისტიკოსების გათვლებით, კერძო სექტორში დაქირავებით დასაქმებულების საშუალო ანაზღაურება დღეის მონაცემებით 1151 ლარია.

რადგან ჩვენი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების წილი გაიზარდოს, ამისთვის გადავხედოთ 2019 წლის მონაცემებს: 2019 წლის I კვარტალში, სტატისტიკოსების გათვლით, მთლიანი ბრუნვის 54.5% მოდის მსხვილ ბიზნესზე, 17.4% ფიქსირდება საშუალო საწარმოებზე, ხოლო 28.1% მცირე ბიზნესზე ნაწილდება.(დიაგრამა N5)



*დიაგრამა N5 (წყარო: საქსტატი-*სწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა*)*

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში, აქ მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 41.3%, საშუალოზე - 24.8%, ხოლო მცირე ბიზნესზე - 33.9%. (დიაგრამა N6)



*დიაგრამა N6 (წყარო: საქსტატი-*სწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა*)*

რაც შეეხება დასაქმებულებს, დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 36.9% მსხვილ ბიზნესზე ნაწილდება, 20.6%- საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 42.5% მცირე ბიზნესზეა დაფიქსირებული. (დიაგრამა N7)



*დიაგრამა N7 (წყარო: საქსტატი-*სწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა

საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირადა განაწილებული:

- მსხვილი ბიზნესი – 1 205.6 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 1 291.2 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 1 017 ლარი.(დიაგრამა N8)



დიაგრამა N7 (წყარო: საქსტატი-სწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა*)*

სამეწარმეო სფეროს ძირითად ეკონომიკურ მაჩვებლებს: რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, ბრუნვა, გამოშვებული პროდუქცია, დამატებითი ღირებულება, შუალედური მოხმარება, ძირითადი კაპიტალი, დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება. ბიზნეს სექტორში არსებული მდგომარეობის ანალიზისთვის ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა, დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვითნ მიმოვიხილოთ. ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის სახეები იქნება:

- სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
- მრეწველობა*(მათ შორისაა სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება; დამამუშავებელი მრეწველობა; ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული*

ჰაერის მოწოდება; წყალმომარაგეობა, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები)

- მშენებლობა

სანამ მონაცემების დეტალურ ანალიზს დავიწყებთ, ზოგადად მიმოვიხილოთ ბიზნეს სექტორის მაჩვენებელთა დინამიკა 2010 წლიდან. როგორც დიაგრამიდან ჩანს (დიაგრამა N9) ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები დროში დინამიკურად ძირითადად იზრდება, მათ შორის, მკვეთრი ზრდა ფიქსირდება ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის, რაც მთლიანად ბიზნესის განვითარებაზე დადებით ასპექტებს სახავს. ზრდის ტემპით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მოცულობაც, რაც შეეხება ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობას, ბოლო წლების მონაცემეზე დაყრდნობით, მეტ-ნაკლებად კლების ტემპით შეიძლება დავახასიათოდ. ბუნებრივია, იგივე კლების ტრენდი გვევლინება სექტროში დაქირავებით მომუშავეთა რაოდენობაზეც.



დიაგრამა N9(***წყარო**: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა, წინასწარი მონაცემები)*

საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის მაჩვენებლების დინამიკის დროში განვითარების დასახასიათებლად გამოვიყენოთ დინამიკური (დროითი) მწკრივის საანალიზო მაჩვენებლები: აბსოლუტური მატება (ჯაჭვრური), საშუალო აბსოლუტური მატება, დინამიკური მწკრივის ზრდისა და მატების ტემპები, საშუალო წლიური ზრდისა და მატების ტემპები. პირველად განვიხილოთ ბრუნვის მაჩვენებელი(დიაგრამა N4):

(1.1) საბაზისო აბსოლუტური მატება $\Delta = y_n - y_1$

(1.2) ჯაჭვური აბსოლუტური მატება $\Delta = y_n - y_{n-1}$

(1.3) დინამიკური მწკრივის საშუალო აბსოლუტური მატება $\bar{\Delta} = \frac{\sum \Delta}{n-1}$



დიაგრამა N10:(***წყარო:****საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახური(საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა)*

ბრუნის მაჩვენებელი **სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში**

გავიანგარიშოთ ჯაჭვური აბსოლუტური მატებები 2010-2018 წლებში სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა ბრუნვის მიხედვით

(1.2) ჯაჭვური აბსოლუტური მატება:

Y_{2011}=179.4-115.8 =63.6

Y_{2012}=204.8-179.4 =25.4

Y_{2013}=237.3-204.8 = 32.5

Y_{2014}=263-237.3 = 25.7

Y_{2015}=330.8-263 = 67.8

Y_{2016}=368-330.8 = 37.2

Y_{2017}=425.9-368 = 57.9

Y_{2018}=447.7-425.9= 21.8

ჯაჭვური აბსოლუტური მატება გვიჩვენებს, რამდენით იზრდება/მცირდება დინამიკის ყოველი მომდევნო დონე წინა დონესთან შედარებით. ჩატარებული გაანგარიშებებით ირკვევა, რომ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის ბრუნვის მოცულობა 21.8 მლნ ლარით მეტი იყო 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2010-2018 წლებში ყველაზე დიდ ცვლილებას ადგილი ჰქონდა 2011 წელს — ბრუნვის მაჩვენებელი გაიზარდა 63.6 მლნ ლარით, ხოლო 2018 წელს შგაიზარდა მხოლოდ 21.8 მლნ ლარით.

საშუალო აბსოლუტური მატება (1.3) ფორმულით გამოვთვალოთ:

$\frac{331.6}{9-1}$=41.45, იმას ნიშნავს, რომ 2010-2018 წლებში ბრუნვა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის მიმართულებით საშუალოდ გაიზარდა 41.45 მლნ ლარით.

დროითი მწკრივის დასახასიათებლად გამოიყენება აგრეთვე *ზრდის ტემპი,* რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენჯერ იზრდება დროითი მწკრივის ესა თუ ის დონე წინა რომელიმე დონესთან შედარებით. თუ წინა დონედ მიჩნეულია ერთი რომელიმე უცვლელად, მაშინ მივიღებთ საბაზისო ზრდის ტემპებს, ხოლო თუ ის იცვლება და თითოეულ დონეს ვადარებთ მის მომიჯნავე წინა დონეს, მაშინ შედეგად ვიღებთ ჯაჭვური ზრდის ტემპებს.

მატების ტემპი მიიღება აბსოლუტური მატების შეფარდებით წინა შესაბამის დონესთან. იმის მიხედვით, თუ რომელი დონეა აღებული შესადარებლად, გვაქვს საბაზისო და ჯაჭვური მატების ტემპი. სხვაგვარად იგი მიიღება თუ ზრდის ტემპს გამოვაკლებთ100 პროცენტს.

(1.4) საბაზისო ზრდის ტემპი $K_{n-1} = \frac{y_n}{y_1} 100\,\%$

(1.5) ჯაჭვური ზრდის ტემპი $K_{n-1} = \frac{y_n}{y_{n-1}} 100\,\%$

(1.6) საბაზისო მატების ტემპი $T_{n-1} = \frac{y_n - y_1}{y_1} 100 = \frac{y_n}{y_1} 100 - \frac{y_1}{y_1} 100 = K\% - 100\,\%$

(1.7) ჯაჭვური მატების ტემპი $T_{n-1} = \frac{y_n - y_{n-1}}{y_{n-1}} 100 = \frac{y_n}{y_{n-1}} 100 - \frac{y_{n-1}}{y_{n-1}} 100 = K\% - 100\,\%$

(1.5) და (1.7) ფორმულებით გამოვთვალოთ ჯაჭვური ზრდისა და მატების ტემპები:

$Y_{2011} = \frac{179.4}{115.8} * 100\% = 154.9\%$

$Y_{2012} = \frac{204.8}{179.4} * 100\% = 176.8\%$

$Y_{2013} = \frac{237.3}{204.8} * 100\% = 115.9\%$

$Y_{2014} = \frac{263}{237.3} * 100\% = 110.8\%$

$Y_{2015} = \frac{330.8}{263} * 100\% = 125.8\%$

$Y_{2016} = \frac{368}{330.8} * 100\% = 111.2\%$

$Y_{2017} = \frac{425.9}{368} * 100\% = 115.7\%$

$Y_{2018} = \frac{447.4}{425.9} * 100\% = 105\%$

ზრდისა და მატების ჯაჭვური ტემპები მიუთითებს, რამდენჯერ იზრდება/მცირდება დინამიკური მწკრივის თითოეული დონე წინა დონესთან შედარებით. გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ 2018 წელს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის ბრუნვის მოცულობა მხოლოდ 5 პროცენტით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს. სწორედ 2018 წელს დაფიქსირდა ყველაზე დიდი კლება, როცა ზრდის ტემპი 105 პროცენტია, ხოლო მატების ტემპი 5 პროცენტი. მთლიანად 2010-2018 წლების მონაკვეთში ყველაზე დიდი ცვლილება წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა 2012 წელს — ზრდის ტემპი 176.8 პროცენტს, ხოლო მატების ტემპი 76.8 პროცენტს შეადგენს.

საშუალო ცვლილებას ახასიათებს ზრდისა და მატების საშუალო წლიური ტემპები. *ზრდის საშუალო წლიური ტემპი* გვიჩვენებს საშუალოდ რამდენჯერ იზრდება მოცემული მაჩვენებელი. მის გამოსათვლელად გამოიყენება ფორმულა:

$$(1.8) \quad \overline{K} = \sqrt[n-1]{\Pi K} = \sqrt[n-1]{K_1 K_2 K_3 ... K_{n-1}} = \sqrt[n-1]{\frac{y_2}{y_1} \cdot \frac{y_3}{y_2} \cdots \frac{y_n}{y_{n-1}}} = \sqrt[n-1]{\frac{y_n}{y_1}}$$

$$\sqrt[9-1]{\frac{447.7}{115.8}} * 100\% = 108\%$$

საშუალოწლიური მატების (კლების) ტემპი გვიჩვენებს მოცემული დროის პერიოდისათვის საშუალოდ მაჩვენებლის გადიდებას ან შემცირებას და გაიანგარიშება საშუალო წლიური ზრდის ტემპის საფუძველზე:

$$(1.9) \quad \overline{T} = \overline{K}\% - 100\%$$

108%-100% = 8%

ზრდისა და მატების საშუალო ტემპების გაანგარიშების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010-2018 წლების განმავლობაში, კონკრეტულ მონაკვეთებში, ადგილი ჰქონდა მკვეთრ ზრდასაც და მკვეთრ კლებასაც. საშუალოდ, ამ პერიოდში, ბრუნვა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში ყოველწლიურად იზრდებოდა 8 პროცენტით.

ბრუნვის მაჩვენებელი **მრეწველობაში**

(1.2) *ჯაჭვური აბსოლუტური მატებით* ვიღებთ შემდეგ მონაცემებს *(ცხრილი N2)*

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
1 700.3	49	470.5	947.3	650.5	967.9	1 812.6	1 122.5

ცხრილი N2, ჯაჭვრური აბსოლუტური მატება 210-2018 წლები, მლნ ლარი

აღნიშნული გაანგარიშებებით ირკვევა, რომ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, მრეწველობის ბრუნვის მოცულობა 1122.5 მლნ ლარით მეტი იყო 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2010-2018 წლებში ყველაზე დიდ ცვლილებას ადგილი ჰქონდა 2011 წელს — ბრუნვის მაჩვენებელი გაიზარდა 1700.3 მლნ ლარით, ხოლო 2012 წელ გაიზარდა მხოლოდ 49 მლნ ლარით.

საშუალო აბსოლუტური მატებას (1.3) ფორმულით ვიღებთ $\frac{8020.6}{9-1}$=1002.575, იმას ნიშნავს, რომ 2010-2018 წლებში ბრუნვა მრეწველობაში საშუალოდ გაიზარდ 1 002.575 მლრდ ლარით.

(1.5) და (1.7) ფორმულებით გამოთვლილი *ჯაჭვური ზრდისა და მატების ტემპები (*ცხრილი N3)*:*

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
130.9%	104.8%	106.2%	111.8%	107.2%	110.1%	117.1%	109.1%

ცხრილი N3, ჯაჭვური ზრდის ტემპი, 210-2018 წლები, პროცენტი

2018 წელს მრეკვლობის ბრუნვის მოცულობა მხოლოდ 9 პროცენტით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს. მთლიანად 2010-2018 წლების მონაკვეთში ყველაზე დიდი ცვლილება წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა 2011 წელს — ზრდის ტემპი 130.9 პროცენტს, ხოლო მატების ტემპი 30.9 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა 2012 წელს ,როცა ზრდის ტემპი 104.8 პროცენტია, ხოლო მატების ტემპი 4.8 პროცენტი.

ზრდის საშუალო წლიური ტემპი : (1.8) $\sqrt[9-1]{\frac{13506.9}{5486.3}}$*100% =105%

საშუალოწლიური მატების (კლების) ტემპი : (1.9) 105%-100% = 5%

ზრდისა და მატების საშუალო ტემპების გაანგარიშების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010-2018 წლების განმავლობაში, კონკრეტულ მონაკვეთებში, ადგილი ჰქონდა მკვეთრ ზრდასაც და მკვეთრ კლებასაც. საშუალოდ, ამ პერიოდში, ბრუნვა მრეწველობაში ყოველწლიურად იზრდებოდა 5 პროცენტით.

ბრუნის მაჩვენებელი **მშენებლობაში**

(1.2) *ჯაჭვური აბსოლუტური მატებით* ვიღებთ შემდეგ მონაცემებს (ცხრილი N4)

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
1 646.2	1 213.2	-1 253.5	700	1 419.5	1 416.1	188	185.1

ცხრილი N4, ჯაჭვური აბსოლუტური მატება, 210-2018 წლები, მლნ.ლარი

აღნიშნული გაანგარიშებებით ირკვევა, რომ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, მშენებლობის ბრუნვის მოცულობა 185.1 მლნ ლარით მეტი იყო 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2010-2018 წლებში ყველაზე დიდ ცვლილებას ადგილი ჰქონდა 2011 წელს — ბრუნვის მაჩვენებელი გაიზარდა 1 646.2 მლნ ლარით, ხოლო 2013 წელს შემცირდა -1 253.5 მლნ ლარით.

საშუალო აბსოლუტური მატებას (1.3) ფორმულით ვიღებთ $\frac{5514.6}{9-1}$=689.325, იმას ნიშნავს, რომ 2010-2018 წლებში ბრუნვა მშენებლობაში საშუალოდ გაიზარდა 689.325 მლნ ლარით.

(1.5) და (1.7) ფორმულებით გამოთვლილი *ჯაჭვური ზრდისა და მატების ტემპები (ცხრილი N5):*

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
195.6%	136%	72%	121%	135.2%	125.9%	102.7%	102.6%

ცხრილი N5, ჯაჭვური ზრდის ტემპი, 210-2018 წლები, პროცენტი

2018 წელს მშენებლობის ბრუნვის მოცულობა მხოლოდ 2.6 პროცენტით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს. მთლიანად 2010-2018 წლების მონაკვეთში ყველაზე დიდი ცვლილება წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა 2011 წელს — ზრდის ტემპი 195.6 პროცენტს, ხოლო მატების ტემპი 95.6 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა 2013 წელს ,როცა ზრდის ტემპი 72 პროცენტია, ხოლო მატების ტემპი -28 პროცენტი.

ზრდის საშუალო წლიური ტემპი : (1.8) $\sqrt[9-1]{\frac{7\,236.3}{1721.7}}$*100% = 109%

საშუალოწლიური მატების (კლების) ტემპი : (1.9) 109%-100% = 9%

ზრდისა და მატების საშუალო ტემპების გაანგარიშების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010-2018 წლების განმავლობაში, კონკრეტულ მონაკვეთებში, ადგილი ჰქონდა

ზრდასაც და კლებასაც. საშუალოდ, ამ პერიოდში, ბრუნვა მშენებლობაში ყოველწლიურად იზრდებოდა 9 პროცენტით.

დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და პერიოდის მიხედვით (დიაგრამა N5)



*დიაგრამაN11 (**წყარო:**საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახური,საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა)*

დასაქმებულთა რაოდენობა **სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში**

(1.2) *ჯაჭვური აბსოლუტური მატებით* ვიღებთ შემდეგ მონაცემებს (ცხრილი N6)

Y2011	Y2012	Y2013	Y2014	Y2015	Y2016	Y2017	Y2018
-5	1692	2111	791	1197	396	8	-1206

ცხრილი N6, ჯაჭვური აბსოლუტური მატება 210-2018 წლები, კაცი

აღნიშნული გაანგარიშებებით ირკვევა, რომ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი 1206 კაცით შემცირდა 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2010-2018 წლებში ყველაზე დიდ ცვლილებას ადგილი ჰქონდა 2012 წელს —მაჩვენებელი გაიზარდა 1692 კაცით, ხოლო 2018 წელს შემცირდა -1206 დასაქმებულით.

საშუალო აბსოლუტური მატებას (1.3) ფორმულით ვიღებთ $\frac{4984}{9-1}$=623

ეს იმას ნიშნავს, რომ 2010-2018 წლებში დასაქმებულთა რაოდენობა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში საშუალოდ გაიზარდ 623 კაცით.

(1.5) და (1.7) ფორმულებით გამოთვლილი *ჯაჭვური ზრდისა და მატების ტემპები (ცხრილი N 7):*

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
99.9%	126%	125.7%	107.6%	110.7%	103.2%	100.1%	90.5%

ცხრილი N7: ჯაჭვური ზრდის ტემპები, 2010-2018 წლები, პროცენტი

2018 წელს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა 9.5 პროცენტით ნაკლები იყოს 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. მთლიანად 2010-2018 წლების მონაკვეთში ყველაზე დიდი ცვლილება წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა 2012 წელს — ზრდის ტემპი 126 პროცენტს, ხოლო მატების ტემპი 26 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა 2011 წელს ,როცა ზრდის ტემპი - 99.9 პროცენტია, ხოლო მატების ტემპი -0.1 პროცენტი.

ზრდის საშუალო წლიური ტემპი : (1.8) $\sqrt[9-1]{\frac{11493}{6509}}$*100% = 103%

საშუალოწლიური მატების (კლების) ტემპი : (1.9) 103%-103% = 3%

ზრდისა და მატების საშუალო ტემპების გაანგარიშების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010-2018 წლების განმავლობაში, კონკრეტულ მონაკვეთებში, ადგილი ჰქონდა ზრდასაც და მკვეთრ კლებასაც. საშუალოდ, ამ პერიოდში, დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა 3 პროცენტით.

დასაქმებულთა რაოდენობა **მრეწველობაში**

(1.2) *ჯაჭვური აბსოლუტური მატებით* ვიღებთ შემდეგ მონაცემებს (ცხრილი N8)

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
14255	3723	-1960	-821	7929	2531	4765	-6138

ცხრილი N8, ჯაჭვრული აბსოლუტური მატება 210-2018 წლები, კაცი

აღნიშნული გაანგარიშებებით ირკვევა, რომ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხვი 6138 კაცით შემცირდა 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2010-2018 წლებში ყველაზე დიდ ცვლილებას ადგილი ჰქონდა 2011 წელს — დასაქმებულთა მაჩვენებელი გაიზარდა 14255 კაცით, ხოლო 2018 წელს შემცირდა -6138 დასაქმებულით.

საშუალო აბსოლუტური მატებას (1.3) ფორმულით ვიღებთ $\frac{24284}{9-1}$=3035.5

მიღებული შედეგით ვიღებთ, რომ 2010-2018 წლებში დასაქმებულთა რაოდენობა მრეწველობაში საშუალოდ გაიზარდ 3035.5 კაცით.

(1.5) და (1.7) ფორმულებით გამოთვლილი *ჯაჭვური ზრდისა და მატების ტემპები (ცხრილი N 9):*

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
114.2%	103.2%	98.3%	99.2%	106.8%	102%	103.7%	95.3%

ცხრილი N9: ჯაჭვური ზრდის ტემპები, 2010-2018 წლები, პროცენტი

2018 წელს მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობს 4.7 პროცენტით ნაკლებია 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. მთლიანად 2010-2018 წლების მონაკვეთში ყველაზე დიდი ცვლილება წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა 2011 წელს — ზრდის ტემპი 114.2 პროცენტს, ხოლო მატების ტემპი 14.2 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა 2018 წელს ,როცა ზრდის ტემპი 95.3 პროცენტია, ხოლო მატების ტემპი -4.7 პროცენტი.

ზრდის საშუალო წლიური ტემპი : (1.8) $\sqrt[9-1]{\frac{124550}{100266}}$*100% = 101%

საშუალოწლიური მატების (კლების) ტემპი : (1.9) 101%-100% = 1%

ზრდისა და მატების საშუალო ტემპების გაანგარიშების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010-2018 წლების განმავლობაში, კონკრეტულ მონაკვეთებში, ადგილი ჰქონდა მკვეთრ ზრდასაც და მკვეთრ კლებასაც. საშუალოდ, ამ პერიოდში, დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა მხოლოდ 1 პროცენტით.

დასაქმებულთა რაოდენობა **მშენებლობაში**

(1.2) *ჯაჭვური აბსოლუტური მატებით* ვიღებთ შემდეგ მონაცემებს (ცხრილი N10)

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
24812	4889	-4082	2779	2215	3905	1153	-7087

ცხრილი N10, ჯაჭვრული აბსოლუტური მატება 210-2018 წლები, კაცი

აღნიშნული გაანგარიშებებით ირკვევა, რომ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, მშენებლობაში დასაქმებულთა რიცხვი 7087 კაცით შემცირდა 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2010-2018 წლებში ყველაზე დიდ ცვლილებას ადგილი ჰქონდა 2011 წელს — დასაქმებულთა მაჩვენებელი გაიზარდა 24812 კაცით, ხოლო 2018 წელს შემცირდა -7087 დასაქმებულით.

საშუალო აბსოლუტური მატებას (1.3) ფორმულით ვიღებთ $\frac{28584}{9-1}$=3573

ეს იმას ნიშნავს, რომ 2010-2018 წლებში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა მშენებლობაში საშუალოდ გაიზარდ 3573 კაცით.

(1.5) და (1.7) ფორმულებით გამოთვლილი *ჯაჭვური ზრდისა და მატების ტემპები (ცხრილი N 11):*

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
161.2%	107.4%	94.1%	104.2%	103.2%	105.5%	101.5%	90.7%

ცხრილი N11: ჯაჭვური ზრდის ტემპები, 2010-2018 წლები, პროცენტი

2018 წელს მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა 9.3 პროცენტით ნაკლებია 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. მთლიანად 2010-2018 წლების მონაკვეთში ყველაზე დიდი ცვლილება წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა 2011 წელს — ზრდის ტემპი 161.2 პროცენტს, ხოლო მატების ტემპი 61.2 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდი კლება

დაფიქსირდა 2018 წელს ,როცა ზრდის ტემპი 90.7 პროცენტია, ხოლო მატების ტემპი -9.3 პროცენტი. *ზრდის საშუალო წლიური ტემპი :* (1.8) $\sqrt[9-1]{\frac{124550}{100266}}$*100% = 103%

საშუალოწლიური მატების (კლების) ტემპი : (1.9) 103%-100% = 3%

ზრდისა და მატების საშუალო ტემპების გაანგარიშების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010-2018 წლების განმავლობაში, კონკრეტულ მონაკვეთებში, ადგილი ჰქონდა მკვეთრ ზრდასაც და მკვეთრ კლებასაც. საშუალოდ, ამ პერიოდში, დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა მხოლოდ 3 პროცენტით. აქვე ავღნიშნავ, რომ დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებელი სრულად ბიზნეს სექტორისთვისა, სადაც აუცილებელია განვსაზღვროთმ, რომ მაშ შორისაა თვით დასაქმებული და დაქირავებით მომუშავე. გამიჯვნა წარმოდგენილი დანართი N1-ში.

ამის შემდგომ ვნახოთ დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და პერიოდის მიხედვით(დიაგრამა N6):



*დიაგრამა N12 (**წყარო:**საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა)*

(1.2) *ჯაჭვური აბსოლუტური მატებით* ვიღებთ შემდეგ მონაცემებს (ცხრილი N12)

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
79.7	35.9	71.3	3.8	87.7	-18.2	73.1	90.3

ცხრილი N12, ჯაჭვრული აბსოლუტური მატება 210-2018 წლები, ლარი

აღნიშნული გაანგარიშებებით ირკვევა, რომ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი 90.3 ლარით გაიზარდა და 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2010-2018 წლებში ხელფასის ყველაზე დიდ ცვლილებას ადგილი ჰქონდა 2018 წელს —როგორც ზემოთ ავღნიშნე მაჩვენებელი გაიზარდა 90.3 ლარით ხოლო 2016 წელს შემცირდა -18.2 ლარით.

საშუალო აბსოლუტური მატებას (1.3) ფორმულით ვიღებთ $\frac{423.6}{9-1}$=52.95

როგორც ვხედავთ, 2010-2018 წლების პერიოდში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასის რაოდენობა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში საშუალოდ გაიზარდ 52.95 ლარით.

(1.5) და (1.7) ფორმულებით გამოთვლილი *ჯაჭვური ზრდისა და მატების ტემპები (ცხრილი N 13):*

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
125.8%	109.2%	116.8%	100.7%	117.6%	96.9%	112.7%	114.1%

ცხრილი N13 ჯაჭვური ზრდის ტემპები, 2010-2018 წლები, პროცენტი

2018 წელს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურების რაოდენობა 14.1 პროცენტით მეტი იყო 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. მთლიანად 2010-2018 წლების მონაკვეთში ყველაზე დიდი ცვლილება წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა 2011 წელს — ზრდის ტემპი 125.8 პროცენტს, ხოლო მატების ტემპი 25.8 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა 2014 წელს ,როცა ზრდის ტემპი 100.7 პროცენტია, ხოლო მატების ტემპი მხოლოდ 0.1 პროცენტი.

ზრდის საშუალო წლიური ტემპი : (1.8) $\sqrt[9-1]{\frac{731.5}{307.9}}$*100% = 105%

საშუალოწლიური მატების (კლების) ტემპი : (1.9) 105%-100% = 5%

ზრდისა და მატების საშუალო ტემპების გაანგარიშების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010-2018 წლების განმავლობაში, კონკრეტულ მონაკვეთებში, ადგილი ჰქონდა მკვეთრ ზრდასაც და მკვეთრ კლებასაც. საშუალოდ, ამ პერიოდში, დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა 5 პროცენტით.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება **მრეწველობაში**

(1.2) *ჯაჭვური აბსოლუტური მატებით* ვიღებთ შემდეგ მონაცემებს (ცხრილი N14)

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
35.4	73.8	61.1	36	56.2	25.3	84.1	103.1

ცხრილი N14, ჯაჭვრული აბსოლუტური მატება 210-2018 წლები, ლარი

აღნიშნული გაანგარიშებებით ირკვევა, რომ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, მრეწველობაში დაქიავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი გაიზარდა 103.1

ლარით 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2010-2018 წლებში ყველაზე დიდ ცვლილებას ადგილი ჰქონდა სწორედ 2018 წელს —ხელფასის მაჩვენებელი გაიზარდა 103.1 ლარით, ხოლო 2013 წელს გაიზარდა მხოლოდ 36 ლარით.

საშუალო აბსოლუტური მატებას (1.3) ფორმულით ვიღებთ $\frac{475}{9-1}$=59.4

ეს იმას ნიშნავს, რომ 2010-2018 წლებში ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასის რაოდენობა მრეწველობაში საშუალოდ გაიზარდ 59.4 ლარით.

(1.5) და (1.7) ფორმულებით გამოთვლილი *ჯაჭვური ზრდისა და მატების ტემპები (ცხრილი N 15):*

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
106%	111.8%	108.7%	104.7%	107.1%	102.9%	109.6%	110.7%

ცხრილი N15: ჯაჭვური ზრდის ტემპები, 2010-2018 წლები, პროცენტი

2018 წელს მრეწველობაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი 10.7 პროცენტით მეტია 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. მთლიანად 2010-2018 წლების მონაკვეთში ყველაზე დიდი ცვლილება წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა ამავე 2018 წელს — ზრდის ტემპი 110.7 პროცენტს, ხოლო მატების ტემპი 10.7 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა 2016 წელს,როცა ზრდის ტემპი 102.9 პროცენტია, ხოლო მატების ტემპი 2.9 პროცენტი.

ზრდის საშუალო წლიური ტემპი : (1.8) $\sqrt[9-1]{\frac{1063.6}{588.6}}$*100% = 103.7%

საშუალოწლიური მატების (კლების) ტემპი : (1.9) 103.7%-100% = 3.7%

ზრდისა და მატების საშუალო ტემპების გაანგარიშების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010-2018 წლების განმავლობაში, კონკრეტულ მონაკვეთებში, ადგილი ჰქონდა ძირითადად ზრდას. საშუალოდ, ამ პერიოდში, დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა 3.7 პროცენტით.

დაქირავავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება **მშენებლობაში**

(1.2) *ჯაჭვური აბსოლუტური მატებით* ვიღებთ შემდეგ მონაცემებს (ცხრილი N16)

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
70.1	151.9	-22.7	75.5	242.4	82.2	200.1	288.6

ცხრილი N16, ჯაჭვრული აბსოლუტური მატება 210-2018 წლები, ლარი

აღნიშნული გაანგარიშებებით ირკვევა, რომ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, მშენებლობაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება 288.6 ლარით გაიზარდა 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2010-2018 წლებში ყველაზე დიდ ცვლილებას ადგილი ჰქონდა ამავე 2018 წელს —როგორც ავღნიშნეთ ხელფასის ზრდა დაფიქსირდა 288.6 ლარით, ხოლო 2013 წელს შემცირდა -22.7 ლარით.

საშუალო აბსოლუტური მატებას (1.3) ფორმულით ვიღებთ $\frac{1088.1}{9-1}$=136

ეს იმას ნიშნავს, რომ 2010-2018 წლებში საშუალო ხელფასის მაჩვენებელი მშენებლობაში საშუალოდ გაიზარდ 136 ლარით.

(1.5) და (1.7) ფორმულებით გამოთვლილი *ჯაჭვური ზრდისა და მატების ტემპები (ცხრილი N 17):*

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
110.4%	120.4%	97.5%	108.7%	125.6%	106.9%	115.7%	119.6%

ცხრილი N17, ჯაჭვური ზრდის ტემპები, 2010-2018 წლები, პროცენტი

2018 წელს მშენებლობაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება 19.6 პროცენტით მეტია 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. მთლიანად 2010-2018 წლების მონაკვეთში ყველაზე დიდი ცვლილება წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა 2015 წელს — ზრდის ტემპი 125.6 პროცენტს, ხოლო მატების ტემპი 25.6 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა 2013 წელს ,როცა ზრდის ტემპი 97.5 პროცენტია, ხოლო მატების ტემპი -2.5 პროცენტი.

ზრდის საშუალო წლიური ტემპი : (1.8) $\sqrt[9-1]{\frac{1761.6}{673.5}}$*100% = 106%

საშუალოწლიური მატების (კლების) ტემპი : (1.9) 106%-100% = 6%

ზრდისა და მატების საშუალო ტემპების გაანგარიშების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010-2018 წლების განმავლობაში დასაქმებულთა ხელფასი საშუალოდ იზრდებოდა 6 პროცენტით. შემდეგი მაჩვენებელია პროდუქციის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და პერიოდის მიხედვით(დიაგრამა N7):



*დიაგრამაN13 (**წყარო:**საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა)*

პროდუქციის გამოშვება **სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში**

(1.2) *ჯაჭვური აბსოლუტური მატებით* ვიღებთ შემდეგ მონაცემებს (ცხრილი N18)

Y2011	Y2012	Y2013	Y2014	Y2015	Y2016	Y2017	Y2018
74	43	47	36.7	53.4	39.2	47.4	-8

ცხრილი N18, ჯაჭვრული აბსოლუტური მატება 210-2018 წლები, მლნ ლარი

აღნიშნული გაანგარიშებებით ირკვევა, რომ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში პროდუქციის გამოშვება 8 მლნ ლარით შემცირდა 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2010-2018 წლებში პროდუქციის გამოშვების დიდ ცვლილებას ადგილი ჰქონდა 2011 წელს მაჩვენებელი გაიზარდა 74 მლნ ლარით ხოლო 2018 წელს შემცირდა -8 მლნ ლარით.

საშუალო აბსოლუტური მატებას (1.3) ფორმულით ვიღებთ $\frac{332.7}{9-1}$=41.58

ეს იმას ნიშნავს, რომ 2010-2018 წლებში პროდუქციის გამოშვების რაოდენობა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში საშუალოდ გაიზარდ 41.58 მლნ ლარით.

(1.5) და (1.7) ფორმულებით გამოთვლილი *ჯაჭვური ზრდისა და მატების ტემპები (ცხრილი N 19):*

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
163.1%	122.5%	120.1%	113.1%	116.8%	110.6%	111.5%	98.3%

ცხრილი N19: ჯაჭვური ზრდის ტემპები, 2010-2018 წლები, პროცენტი

2018 წელს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში პროდუქციის გამოშვება 1.7 პროცენტით ნაკლები იყო 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. მთლიანად 2010-2018 წლების მონაკვეთში ყველაზე დიდი ცვლილება წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა 2011 წელს — ზრდის ტემპი 163.1 პროცენტს, ხოლო მატების ტემპი 63.1 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა 2018 წელს ,როცა ზრდის ტემპი 98.3 პროცენტია, ხოლო მატების ტემპი მხოლოდ -10.7 პროცენტი.

ზრდის საშუალო წლიური ტემპი : (1.8) $\sqrt[9-1]{\frac{449.9}{117.2}}$*100% = 108.7%

საშუალოწლიური მატების (კლების) ტემპი : (1.9) 108.7%-100% = 8.7%

ზრდისა და მატების საშუალო ტემპების გაანგარიშების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010-2018 წლების განმავლობაში, ძირითადად ადგილი ჰქონდა ზრდას. საშუალოდ, ამ პერიოდში, პროდუქციის გამოშვება ყოველწლიურად იზრდებოდა 8.7 პროცენტით.

პროდუქციის გამოშვება **მრეწველობაში**

(1.2) *ჯაჭვური აბსოლუტური მატებით* ვიღებთ შემდეგ მონაცემებს (ცხრილი N20)

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
1554.7	461.2	416.8	884.7	413.2	667.6	1559.6	801.5

ცხრილი N20, ჯაჭვრული აბსოლუტური მატება 210-2018 წლები, მლნ ლარი

აღნიშნული გაანგარიშებებით ირკვევა, რომ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, მრეწველობაში პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 801.5 მლნ ლარით 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2010-2018 წლებში ყველაზე დიდ ცვლილებას ადგილი ჰქონდა სწორედ 2011 წელს პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი გაიზარდა 1 554.7 მლნ ლარით, ხოლო 2015 წელს გაიზარდა მხოლოდ 413.2 მლნ ლარით.

საშუალო აბსოლუტური მატებას (1.3) ფორმულით ვიღებთ $\frac{6759}{9-1}$=844.9

ეს იმას ნიშნავს, რომ 2010-2018 წლებში პროდუქციის გამოშვების რაოდენობა მრეწველობაში საშუალოდ გაიზარდ 844.9 მლნ ლარით.

(1.5) და (1.7) ფორმულებით გამოთვლილი *ჯაჭვური ზრდისა და მატების ტემპები (ცხრილი N 21):*

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
132.1%	107.2%	106.1%	112.2%	105.1%	107.8%	116.9%	107.4%

ცხრილი N21: ჯაჭვური ზრდის ტემპები, 2010-2018 წლები, პროცენტი

2018 წელს მრეწველობაში გამოშვებული პროდუქცია 7.4 პროცენტით მეტია 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. მთლიანად 2010-2018 წლების მონაკვეთში ყველაზე

დიდი ცვლილება წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა 2011 წელს — ზრდის ტემპი 132.1 პროცენტს, ხოლო მატების ტემპი 32.1 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა 2015 წელს,როცა ზრდის ტემპი 105.1 პროცენტია, ხოლო მატების ტემპი 5.1 პროცენტი.

ზრდის საშუალო წლიური ტემპი : (1.8) $\sqrt[9-1]{\frac{11606.5}{4847.2}}$*100% = 105.6%

საშუალოწლიური მატების (კლების) ტემპი : (1.9) 105.6%-100% = 5.6%

ზრდისა და მატების საშუალო ტემპების გაანგარიშების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010-2018 წლების განმავლობაში, ძირითადად ადგილი ჰქონდა ზრდას. საშუალოდ, ამ პერიოდში, პროდუქციის გამოშვება ყოველწლიურად იზრდებოდა დაახლოებით 5.6 პროცენტით.

პროდუქციის გამოშვება **მშენებლობაში**

(1.2) *ჯაჭვური აბსოლუტური მატებით* ვიღებთ შემდეგ მონაცემებს (ცხრილი N22)

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
1643.5	1302	-1068.4	620.7	1468.3	1669.4	229.4	113

ცხრილი N22, ჯაჭვრული აბსოლუტური მატება 210-2018 წლები, მლნ ლარი

აღნიშნული გაანგარიშებებით ირკვევა, რომ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, მშენებლობაში პროდუქციის გამოშვება 113 მლნ ლარით გაიზარდა 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2010-2018 წლებში ყველაზე დიდ ცვლილებას ადგილი ჰქონდა 2016 წელს —გამოშვების მაჩვენებელი გაიზარდა 1669.4 მლნ ლარით, ხოლო 2013 წელს შემცირდა -1068.4 მლნ ლარით.

საშუალო აბსოლუტური მატებას (1.3) ფორმულით ვიღებთ $\frac{5977.6}{9-1}$=747.2

ეს იმას ნიშნავს, რომ 2010-2018 წლებში პროდუქციის გამოშვება მშენებლობაში საშუალოდ გაიზარდ 747.2 მლნ ლარით.

(1.5) და (1.7) ფორმულებით გამოთვლილი *ჯაჭვური ზრდისა და მატების ტემპები (ცხრილი N 23):*

Y_{2011}	Y_{2012}	Y_{2013}	Y_{2014}	Y_{2015}	Y_{2016}	Y_{2017}	Y_{2018}
194.1%	138.4%	77.2%	117.1%	134.6%	129.2%	103.1%	101.5%

ცხრილი N23: ჯაჭვური ზრდის ტემპები, 2010-2018 წლები, პროცენტი

2018 წელს მშენებლობაში პროდუქციის გამოშვების რაოდენობა 1.5 პროცენტით მეტია 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. მთლიანად 2010-2018 წლების მონაკვეთში ყველაზე დიდი ცვლილება წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა 2011 წელს — ზრდის ტემპი 194.1 პროცენტს, ხოლო მატების ტემპი 94.1 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა 2018 წელს ,როგორც ზემოთ ავღნიშნე, აღნიშნულ წელს ზრდის ტემპი 101.5 პროცენტია, ხოლო მატების ტემპი -1.5 პროცენტი.

ზრდის საშუალო წლიური ტემპი : (1.8) $\sqrt[9-1]{\frac{7724}{1746.4}}$*100% = 109.7%

საშუალოწლიური მატების (კლების) ტემპი : (1.9) 109.7%-100% = 9.7%

ზრდისა და მატების საშუალო ტემპების გაანგარიშების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010-2018 წლების განმავლობაში, კონკრეტულ მონაკვეთებში, ადგილი ჰქონდა მკვეთრ ზრდას. საშუალოდ, ამ პერიოდში, დასაქმებულთა პროდუქციის გამოშვება ყოველწლიურად იზრდებოდა მხოლოდ 9.7 პროცენტით.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შეგვიძლია ვისაუბროთ ეკონომიკური პლათფორმის სამ სექტორზე და გამოვკვეთოთ ძირითადი ტენდენციები:

- დინამიკური ანალიზი გვიჩვენებს რომ **სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში** ბრუნვის მოცულობა ზრდის ტემპით ხასიათდება, საშუალოდ ყოველწლიური ზრდა 8 %-ია. ოდნავ განსხვავებული ზრდის ტემპი გვაქვს პროდუქციის გამოშვების მიმართულებით (8.7%). ასევე დადებითი ცვლილებაა სექტორში დასაქმებულთა რაოდენობაზე, აქ ფიქსირდება 3% -იანი ზრდა. ხელფასების მიხედვით 5% ია ზრდაა 2010-2018 წლებში, 2018 წელს საშუალო ხელფასი 731 ლარია. სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის სექტორში, ზოგადად სხვა ეკონომიკურ საქმიანობებთან შედარებით საშუალო ხელფასების მაჩვენებელი მეტწილად დაბალია.

დინამიკური ზრდის ფაქტორებიდან სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გაზრდილი ექსპორტია 2013 წლიდან, როდესაც რუსეთის მხრიდან მოხდა ემბარგოს მოხსნა (2006-2013 წლებში სოფლის მეურნეობაში შესამჩნევი კრიზისი იყო ისევ რუსეთის მიერ დაწესებულ ემბარგის გამო).ასევე ზრდის ტენდენციებზე იმოქმედა 2013-2014 წლებში სახელმწფოს მიერ განხორციელებულმა სხვადასხვა პროგრამებმა (ძირითადად მემცენარეობა და საწარმოები და მელიორაცია, სასათბურე მეურნეობა), რომლის ფარგლებშიც ასეულობით მილიონი სუბსიდია განხორციელდა. შესაბამისად, დარგი მომგებიანი გახდა. გარდა ამისა, წელს დანერგე მომავლის ფარგლებში გაშენდა 7 000 ჰა-მდე მრავალწლოვანების ბაღები და თუ შევადარებთ აღწერის მონაცემებს 2017 წელს 20-25% ით გაზრდილია ფართობები. 2018 წელს გაზრდილია ღვინის ექსპორტი, რაც ყურძენზე მოთხოვნას ზრდის და შესაბამისად ყურძნის ფასიც 2018 წელს მაღალი იყო. საერთო ჯამში, დარგიდან სატყეო მეურნეობაში კლება დაფიქსირდა, თუმცა სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობისს დარგები იმდენად ვითარდება, რომ დინამიკური ანალიზი ზრდის ტემპს გვიჩვენებს.

- **მრეწველობა**, სამრეწველო დარგის ბრუნვა 2018 წელს 13 506.9 მილიონი ლარი იყო, რაც წინა წელთან შედარებით 1 122.5 მილიონი ლარით მეტია. ამ პერიოდში მრეწველობის დარგმა 11 660.5მ ლნ ლარის პროდუქცია გამოიმუშავა, ეს მაჩვენებლი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია-ზრდა ფიქსირდება 801.5 ლარით. საშუალოდ კი 2010-2018 წლებში ბრუნვა მრეწველობაში იზრდებოდა 5%-ით.

  საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს შემცირებულია მრეწველობის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა. 2018 წელს ამ დარგში 124 550 ადამიანი მუშაობდა, მაშინ როდესაც 2017 წლის იმავე პერიოდში დარგში დასაქმებულთა რიცხვი 130 688 ადამიანი იყო. საერთო ჯამში 2010-2018 წლის პერიოდებში 2013 2014 და 2018 წლებში წინა წლებთან შედარებით მაჩვენებელი მცირდებოდა, შესაბამისად, საშუალოწლიური მატების ტემპით დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა მხოლოდ 1%.

  დასაქმებულთა ხელფასებში მზარდი მაჩვენებელი გვაქვს, საშუალო თვიური ანაზღაურება 2018 წლის მონაცემებით 1063.6 ლარი იყო, 960.5 ლარი ფიქსირდებოდა 2017 წელს. 2010 წლიდან დინამიკური ანალიზის საფუძველზე ჩატარებულმა კვლევამ სექტორში ხელფასების საშუალო წლიური ზრდის ტემპი 3,7% შეადგინა.

მნიშვნელოვანი ფაქტორია 2014 წლის თებერვალში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, რომელიც იმთავითვე არის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულება. ხელშეკრულების საფუძველზე მრეწველობის სექტორში ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვბეის ზრდა დაფიქსირდა, გარდა ამისა გაიზარდა ევროკავშირიდან მრეწველობის სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი. გარდა ამისა, 2018 წლის კვარტლური მონაცემებით, მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება. რადგან აღნიშნული მონაცემები ექვემდებარება დაზუსტებას (რაც დაახლოებით 5%-ით გაზრდის არსებულ მაჩვენებელს) ვერ ვისაუბრებთ დაზუსტებით ცვლილების მიზეზებზე.

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2018 წელს **მშენებლობის** ბრუნვამ 7 236.3 მილიონი ლარი შეადგინა, 2017 წელთან შედარებიოთ ეს მაჩვენებელი 20185.1 მილიონი ლარით გაიზარდა. 2010-2018 წლის პერიოდში საშუალოდ, ბრუნვა მშენებლობაში ყოველწლიურად იზრდებოდა 9 %-ით.

  საქართველოში მშენებლოს სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქცია 7 724.0 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით 113 მლნ ლარით მეტია.მაშინ, როცა 2010-2018 წლებში პროდუქციის გამოშვება მშენებლობაში საშუალოდ გაიზარდა 747.2 მლნ ლარით, ანუ 9.7%-იანი ზრდით.

  2010 წლიდან მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მეტ-ნაკლებად ზრდა ფიქსირდება, მათ შორის, 2018 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ 69 101 კაცი შეადგინა მაშინ, როდესაც წინა 2017 წელს დასაქმებულთა რაოდებობა 76 187 ათასი იყო. ამ მონაკვეთში დასაქმებულთა რაოდენობა მშენებლობაში საშუალოდ გაიზარდა 3573 კაცით, რაც მხოლოდ 3 %-იან ზრდას ნიშნავს.

  ჩატარებული ანალიზით ირკვევა, რომ დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება მკვეთრი ზრდით ხასიათდება, კერძოდ, 2018 წელს მშენებლობაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასმა 1761.1 ლარი შეადგინა, რაც 288 ლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. *ზრდისა და მატების საშუალო ტემპების* გაანგარიშების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010-2018 წლების განმავლობაში დასაქმებულთა ხელფასი საშუალოდ იზრდებოდა 6 %-ით.

2016 წლიდან სამშენებლო სექტორში მზარდი დანამიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურის გამარტივებაა ნებართვის გაცემისთვის საჭირო დროის შემცირებით. ხოლო 2018 წელს

დასაქმებულთა შემცირებული რაოდენობა შეიძლება დავუკავშიროთ მნიშვნელოვან ცვლილებებს სამშენებლო უსაფრთხოების რეგლამენტში, რომელსაც საქართველოს ეკონომიკისა და მსგრადი განვითარების სააგენტოს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო კურირებს.

დასკვნა

2016 წლიდან კომპლექსური მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის სტრატეგია ამოქმედდა. სტრატეგიის ეტაპობრივად განხორციელების შედეგად მიღებულია გარკვეული პოზიტიური ხასიათის შედეგები. თუმცა, საქართველო, ისევე როგორც ბევრი სხვა განვითარებადი ქვეყანა, დღესაც მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით კვლავ მწვავე გამოწვევების წინაშე დგას. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ დაბალი რჩება. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება ბრუნვის, გამოშვებისა და ანაზღაურების მიმართულებით.

ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შემდგომი გაუმჯობესება და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მოითხოვს ამ სფეროში რეფორმების შემდგომ განხორციელებას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის, სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებისა და ინოვაციების წახალისების გზით, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩვაძე ი., ბიზნესის კეთების მიხედვით რეიტინგული გაუმჯობესება, კომერსანტი, 2019
2. ბლიაძე მ., გლობალური ინდექსები - გლობალური სამყაროს საზომები, 2017
3. თოქმაზიშვილი მ., მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა (ღირებულებათა ზრდის განვითარება), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2017
4. იაკობიძე დ., საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო შეფასებათა თვალსაზრისით და განვითარების შესაძლებლობები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2017
5. პაპავა ვ., დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა ევროკავშირიდ პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო, საქართველოს სტრატეგიების დასაერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2018
6. ჩუთლაშვილი ა., გლობალური კონკურენტუნარიანობა და საქართველო, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2011
7. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016
8. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2016-2017, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016
9. პროგრამის “აწარმოესაქართველოში” ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური მხარდაჭერის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების შედეგების შეფასება, ბიდიო, 2018
10. ევრო SDMX მეტამონაცემების სტრუქტურა (ESMS) საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
11. მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია 2018, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

12. Eurostat, Methodology of short-term business statistics, 2006

13. United Nations Economic Commission for Europe, Guidelines on Satistical Business Registers, New York and Geneva, 2015

14. A World Bank Group Flagship Report, Doing Business 2019 (Ecomoy Profile Georgia), 16 th edition, 2019

15. B. Namchavadze, Georgia in 2018 Rankings, Forbes Georgia in English, ,12th edition, 2019

16. Union,Financial assistance of the Europe, ევროპის მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასება, 2016

ინტერნეტ-რესურსები

1. სტატია- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, http://business.org.ge/, 2018

2. სტატია-დემოკრატიის ინდექსი 2017-2018, http://business.org.ge/

3. ბიზნეს სექტორის სტატისტიკური მონაცემები 2010-2019, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი, https://www.geostat.ge/

4. აწარმოე საქართველოში ვებ-გვერდი, http://www.enterprisegeorgia.gov.ge/

5. საქართელოს საკანონმდებლო მაცნე, https://matsne.gov.ge/

6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდი, http://www.economy.ge/

7. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი http://www.nplg.gov.ge/

დანართი 1

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და პერიოდის მიხედვით

სოფლის, სატყეო და თევზის ნეურნეობა	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სულ ბიზნეს სექტოროში დასაქმებულთა რიცხვი	6,509	6,504	8,196	10,307	11,098	12,295	12,691	12,699	11,493
მათ შორის დაქირავეით დასაქმებული	4,953	6,283	8,052	10,157	10,789	11,923	11,942	12,111	10,763
მრეწველობა	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სულ ბიზნეს სექტოროში დასაქმებულთა რიცხვი	100,266	114.521	1148244	116,284	115,463	123,392	125,923	130,688	124,550
მათ შორის დაქირავეით დასაქმებული	97,205	111,573	115,361	113,738	112,213	118,690	121,150	124,608	120,022
მშენებლობა	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სულ ბიზნეს სექტოროში	40,516	65,328	70,217	66,135	68,914	71,129	75,034	76,187	69,101

დასაქმებულთა რიცხვი									
მათ შორის დაქირავეით დასაქმებული	40,023	64,132	69,209	65,349	67,203	69,073	72,962	73,154	67,240